საქართველო

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

რესპუბლიკა

№104 (9784) 2024 წლის 11 სექტემბერი. ოთხშაბათი

ფასი 1 ლარი

ზამანგი

6

კარგი ამომრჩევლის გარეშე არ არის კარგი ხელისუფლება, კარგი ხელისუფლების გარეშე არ არის კარგი სახელმწიფო!



8

მიშას რომ შესძლებოდა, მთელ დედამიწაზე გაშლიდა საკუთარი ნახატების გამოფენას!

ლაფანყურის საშინელი ტრაგედია რომ გამოეძიებინათ, არავითარი გია ლორთქიფანიძე და მისი ბანდის წევრები არ იქნებოდნენ!

4

„სააკაშვილის ბიძა მილიონ დოლარს აძლევდა იმას, ვინც „სნაიპერსკი“ ვინტოვკით მოკლავდა ივანიშვილს...

„ქართული ოცნების“ „მშვიდობის ოცეულის ახალი სახეები

„ქართული ოცნება-დემოკრატიულმა საქართველომ“ გუშინ საარჩევნო სიის პირველი ოცეული წარადგინა.

წარდგენა „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისში გაიმართა. პარტიის საარჩევნო სიის პირველ ოცეულში არიან: ბიძინა ივანიშვილი; ირაკლი კობახიძე; ირაკლი ღარიბაშვილი; შალვა პაპუაშვილი; მამუკა მდინარაძე; თეა წულუკიანი; ლაშა ტალახაძე; ვახტანგ თურნავა; მაკა ბოჭორიშვილი; გენო პეტრიაშვილი; სოზარ სუბარი; მარიამ ქვრივიშვილი; ანრი ოხანაშვილი; ნიკოლოზ სამხარაძე; ეკა ჭიჭინაძე; შოთა ბერეკაშვილი; ლევან მახაშვილი; მიხეილ ყაველაშვილი; გიორგი გაბუნია; ლიკა შარტავა.



ლიკა შარტავა

ვახტანგ თურნავა

გიორგი გაბუნია

ეკა ჭიჭინაძე

შოთა ბერეკაშვილი

ლევან მახაშვილი

ჩემპიონები — გენო და ლაშა

ერთად უნდა ვებრძოლოთ ლიბერალურ ფაშიზმს!

„თქვენ იცით, რომ მმართველი პარტიის წარმომადგენელზე იყო ვერბალური თავდასხმა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში და ეს ყველაფერი დასრულდა ფატალური შედეგით. ეს არის ლიბერალური ფაშიზმი და აქ არ შეიძლება არავითარი ორმაგი სტანდარტების დაშვება. სადაც ვხედავთ ორმაგ სტანდარტებს, სადაც ვიღაც იწონებს ფიზიკურ თუ ვერბალურ თავდასხმას ადამიანებზე, იქ უკვე ღრმავდება ასეთი პროცესები. შესაბამისად, ყველას მოვუწოდებ, ნუ იმოქმედებენ ორმაგი სტანდარტებით. ყველა ერთად უნდა ვებრძოლოთ საქართველოში ლიბერალურ ფაშიზმს, რაც არის აბსოლუტურად ისეთივე მიუღებელი იდეოლოგია და მიმ-დინარეობა, როგორიც იყო ბოლშევიზმი 100 წლის წინ“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

„**საქართველოში** არიან პოლიტიკური ძალები, ვერ დავაკონკრეტებ გამომდინარე იქიდან, რომ მთავრობის ადმინისტრაციიდან იმართება ეს ბრიფინგი, რომლებსაც ქართველი ხალხის მიმართ არაფერი აქვთ სათქმელი. ვერაფერს ამბობენ, კამპანიებს ვერ ატარებენ, აქვთ ხან კულინარიული შოუ შეთავაზებული საზოგადოებისთვის, ხან სხვა ტიპის პროპაგანდისტული აქტები. რეალურად საზოგადოებას ვერ ესაუბრებიან და სინამდვილეში ისინი საარჩევნო კამპანიას მართავენ ქვეყნის გარეთ, რაც სამწუხაროა. კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ ამისათვის მათთვის ხდება პლატფორმების შეთავაზება, თუმცა კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ასეთი აქტები რეალურად გავლენას ვერ მოახდენს ქართველი ამომრჩევლის ნებაზე, რომელიც გამოიხატება რეალურად 26 ოქტომბერს“.

„საზოგადოებამ ძალიან კარგად ისწავლა ყველაფრის გაანალიზება. ამ საზოგადოებას აქვს უკვე 35-წლიანი გამოცდილება, ეს საზოგადოება გამოცდილია უკვე ბევრად უფრო მეტად, ვიდრე ბევრი სხვა ქვეყნის გამოცდილება. ჩვენ ისეთი სირთულეები, ისეთი პრობლემები გამოვიარეთ ამ 35 წლის მანძილზე, რომ ყველაფერთან ერთად დავაგროვეთ საზოგადოების გამოცდილება და სწორედ, საზოგადოების გამოცდილების დამსახურებაა ის, რომ ჩვენ ამ 4 წლის განმავლობაში მოვახერხეთ მშვიდობის შენარჩუნება, მაშინ, როდესაც საქართველო, უკრაინასთან ერთად იყო პირველი რისკის მქონე ქვეყანა მთელ ამ რეგიონში. ამის მიუხედავად, უმძიმესი ზეწოლის მიუხედავად, გახსოვთ, როგორი კოორდინირებული ზეწოლა იყო, სანქციებთან მიერთება, მებრძოლი მოხალისეების გაგზავნა, კულისებში რა ხდებოდა ამაზე აღარაფერს ვამბობ, ამხელა ზეწოლის მიუხედავად, ჩვენ, სწორედ, საზოგადოების მხარდაჭერით მოვახერხეთ საქართველოსთვის მშვიდობის შენარჩუნება და, არა თქმა უნდა, ამ ყველაფერს ვერავინ შეარყევს.“

„კოლექტიური „ნაცმოძრაობა“ დასდევს გარე განცხადებებს, ჩვენ არ დავსდევთ არც ერთ განცხადებას, არც ამერიკულს, არც რუსულს, ჩვენ დავსდევთ იმას, თუ რა არის საქართველოს ეროვნული ინტერესები. მინდა, შეგახსენოთ შედეგები რა არის – შედეგი არის ის, რომ ჩვენ 12 წლისა და მათ შორის ბოლო 4 წლის განმავლობაში შეინარჩუნეთ ჩვენი ქვეყნისთვის უწყვეტი მშვიდობა, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება არის პირველი ხელისუფლება, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, რომლის დროსაც ქვეყანას არ ჰქონია ომი. ამასთან ერთად, ჩვენ გვაქვს ძალიან კარგი ეკონომიკური შედეგები. ამ 4 წლის განმავლობაში 40 მილიარდი ლარით გაიზარდა საქართველოს ეკონომიკა, მაგალითად მოლდოვას ამ წლების განმავლობაში გავასწარით დაახლოებით 9 მილიარდ დოლარით, ანუ საქართველოსა და მოლდოვას შორის სხვაობა გაიზარდა 9 მილიარდი დოლარით. ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველოსა და მოლდოვას ბიუჯეტს შორის სხვაობა გაიზარდა 2 მილიარდ დოლარზე მეტით, მხოლოდ ამ რამდენიმე 3-4 წლის განმავლობაში – ეს არის ეკონომიკური მხარე.

ეკონომიკა ნიშნავს იმას, რომ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობაც თანდათანობით უმჯობესდება, ეს მოაქვს ღირსეულ პოლიტიკას, ღირსეული პოლიტიკის შედეგია მშვიდობის შენარჩუნება და უწყვეტ მშვიდობას მოაქვს ეკონომიკური წინსვლა სწორ ეკონომიკურ პოლიტიკასთან ერთად. ეს არის ჩვენი ეროვნული ინტერესები და თქვენ დასდევთ ხან რუსულ, ხან ამერიკულ, ხან ევროპულ განცხადებებს“...

„მილიონ 120 ათასი ადამიანი ცხოვრობდა მაშინ სიღარიბის ზღვარს მიღმა და მაშინ ცაში აჰყავდათ მათ შორის ამერიკელებს და ევროპელებს „ნაცმოძრაობის“ სისხლიანი რეჟიმი. ჩვენ არ დავსდევთ ასეთ განცხადებებს, ჩვენ მივყვებით საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, ჩვენი პრიორიტეტია მშვიდობა, სტაბილურობა ამ ქვეყნის, ჩვენი პრიორიტეტია ეკონომიკური წინსვლა, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, ჩვენ მივყვებით ამას და არა ვიღაცების გარე განცხადებებს, ეს განცხადება ხან იქნება სამართლიანი, ხან უსამართლო, ეს არ არის საინტერესო, საინტერესოა, რა სჭირდება ჩვენს ქვეყანას“...

* * *

სამი გონიერი ახალგაზრდა კვალიფიციური იურისტი უპირისპირდებოდა რამდენიმე ოდიოზურ პოლიტიკოსს და „ენჯეოშნიკს“ და აბსოლუტურად თავდაყირა დაუყენეს მთელი სარჩელი, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ „გამჭვირვალობის კანონზე“ საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილ სარჩელთან დაკავშირებით განაცხადა.

„ერთი არგუმენტი არ ჰქონდათ, იყო მხოლოდ პოლიტიკური განცხადებები, ოდიოზური პოლიტიკოსებისა და „ენჯეოშნიკების“ მხრიდან. მეორე მხრიდან იყო სამართლებრივი მსჯელობა კომპეტენტური, კვალიფიციური ადამიანების მხრიდან, პარლამენტის სამი ახალგაზრდა კვალიფიციური იურისტის მხრიდან. ეს იყო რეალურად საერთო სურათი. იქიდან იყო პოლიტიკური განცხადებები, აქედან იყო სამართლებრივი არგუმენტაცია, ეს იყო საერთო სურათი საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის დროს. რაც შეეხება პერსპექტივებს, ისედაც უპერსპექტივო იყო ეს სარჩელი სამართლებრივი თვალსაზრისით მას შემდეგ, რაც ორგანიზაცია „სირცხვილია“ გამოვიდა აღიარებითი ჩვენებით და აღიარა, რომ არც სტიგმატიზაციას იწვევს ეს კანონი, არც რაიმე შეზღუდვებს აწესებს. მას შემდეგ, რაც 450-ზე მეტი ორგანიზაცია დარეგისტრირდა იუსტიციის სამინისტროში, ეს სარჩელი გახდა კიდევ უფრო მეტად უპერსპექტივო.

სამართლებრივად სრულიად უპერსპექტივოა ის სარჩელი. ამას დაემატა ის, რომ არაკომპეტენტური ადამიანები წარმოადგენდნენ ისედაც უპერსპექტივო სარჩელს, გვარები ხომ იცით, ვინ იყო ბურჯანაძე, ბესელია და ა.შ – ეს ოდიოზური „ენჯეოშნიკები“ და პოლიტიკოსები, შესაბამისად, რა სამართლებრივი პერსპექტივა უნდა ჰქონდეს ამ სარჩელს, ვერ წარმომიდგენია“...

9 აგვისტო, 2024 წ.

შალვა პაპუაშვილი: თუ დადასტურდა, რომ აშშ-ის ელჩი არ ამჟღავნებდა, რომ პარალელური დათვლის შედეგები ცრუ იყო, ეს თავდაყირა აყენებს მედიაციის პროცესის და 19 აპრილის შეთანხმების კეთილსინდისიერებას

დღემდე დამაჯერებელი პასუხი არ არის გაცემული 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პარალელური დათვლის ცრუ შედეგების გავრცელებაში აშშ-ის დაფინანსებით მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების და აშშ-ის ხელისუფლების წარმომადგენლების როლზე, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი სოციალურ ქსელ წერს.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ მიერ 2020 წელს გავრცელებული პარალელური დათვლის მცდარი შედეგების გამოქვეყნებამ ქართული დემოკრატიის დაზიანებასთან ერთად, ქვეყანას, რეპუტაციული ზიანიც მიაყენა. მისი თქმით, სწორედ მაშინ გაძლიერდა ცრუ ნარატივები ქართული დემოკრატიის უკუსვლის შესახებ.

„ამერიკის კონგრესის ჰელსინკის კომისიის წევრების მხრიდან საქართველოსადმი ინტერესის მოლოდინროინდელი გამწვავება შეგვახსენებს, რომ არსებობს ერთი გარემოება, რაც ქართულ-ამერიკულ ურთიერთობას ტვირთად აწევს და იმედგაცრუების საფუძველია: დღემდე დამაჯერებელი პასუხი არ არის გაცემული 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პარალელური დათვლის ცრუ შედეგების გავრცელებაში აშშ-ის დაფინანსებით მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების და აშშ-ის ხელისუფლების წარმომადგენლების როლზე.

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ მიერ 2020 წელს გავრცელებული პარალელური დათვლის მცდარი შედეგები ოპოზიციისთვის არეულობის მოწყობის, რიგგარეშე არჩევნების მოთხოვნის და პარლამენტის ბოიკოტის საბაბად იქცა, რამაც ქართული დემოკრატიის დაზიანებასთან ერთად, ჩვენს ქვეყანას, რეპუტაციული ზიანიც მიაყენა. სწორედ მაშინ გაძლიერდა ცრუ ნარატივები ქართული დემოკრატიის უკუსვლის შესახებ.

დღეს ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ არა მხოლოდ „სამართლიანი არჩევნები“ ავრცელებდა განზრახ პარალელური დათვლის ცრუ შედეგებს, არამედ ეს იცოდნენ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოში (USAID) და უმალავდნენ საქართველოს ხელისუფლებას და ქართველ ხალხს. „სამართლიანი არჩევნების“ იმუამინდელი ხელმძღვანელი ელენე ნიუარაძე (რომელზეც გვარწმუნებდნენ, რომ გადაყენებით დაისაჯა), გადაყენებიდან მალევე, საარჩევნო მონიტორინგის ორგანიზაციების ევროპული ქსელის (ENEMO) მონტენეგროს ოფისში დასაქმდა, რომელსაც, როგორც აღმოჩნდა, იგივე დონორი აფინანსებს, რომელიც „სამართლიან არჩევნებს“; USAID-ის მაშინდელი ერთ-ერთი პასუხისმგებელი პირი კი, რომელმაც იცოდა და მალავდა, რომ ყალბი შედეგები ვრცელდებოდა, ერთ-ერთ ქვეყანაში USAID-ის მისიის ხელმძღვანელი გახდა“, – წერს პარლამენტის თავმჯდომარე.

შალვა პაპუაშვილის თქმით, ცალკე საკითხია, რა იცოდა აშშ-ის იმუამინდელმა ელჩმა, რომელსაც იმ პერიოდში შუამავლის როლი ჰქონდა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის.

„იმ პირობებში, როდესაც USAID სამთავრობო დაწესებულებაა და ფიზიკურადაც აშშ-ის საელჩოშია განთავსებული, რთულია იმის დაჯერება, რომ ელჩს ამ საკითხზე ინფორმაცია არ ჰქონდა. თუ დადასტურდა, რომ ელჩმა იცოდა და არ ამუღავნებდა, რომ პარალელური დათვლის შედეგები ცრუ იყო, ეს თავდაყირა აყენებს ფასილიტაცია-მედიაციის პროცესის და 19 აპრილის შეთანხმების კეთილსინდისიერებას.

ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებში არსებულ რეალურ პრობლემებზე თვალის დახუჭვა ნამდვილად არ ეხმარება ჩვენს სტრატეგიულ ურთიერთობებს. აშშ-ის წარმომადგენელთა პალატას, ისევე როგორც სენატს, აქვს ყველა ბერკეტი ამ საკითხის გამოსაძიებლად. თუმცა, სამწუხაროდ, ნაცვლად ამ კითხვებზე დამაჯერებელი პასუხის გაცემისა, გვესმის ბრალდებები ცრუ ნარატივების გავრცელებაზე, რაც, სულ უფრო მეტად, ემსგავსება კრიტიკოსების გაჩუმების ტაქტიკას, ვიდრე სიმართლეზე ზრუნვას.

საქართველო გვერდში დაუდგა ამერიკელ ხალხს ყოველთვის, როდესაც ეს მას დასჭირდა. ჰელსინკის კომისია ამერიკელი ხალხის სახელით გველაპარაკება. ჩვენც, როგორც საქართველოს დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება, მოვუწოდებთ მას, ქართველი ხალხის სახელით, რომ გამოიძიოს ეს მწვავე საკითხი და დაადგინოს ჭეშმარიტება.

ამერიკელი ხალხის არჩეული წარმომადგენლების მხრიდან პარალელური დათვლის შედეგების მანიპულაციის საკითხის ღია და დამაჯერებელი გამოძიება ქართველი ხალხის მხრიდან ამერიკის გვერდში დგომის სათანადო დაფასება იქნებოდა“, – წერს პარლამენტის თავმჯდომარე.

დღეს საქართველოს ევროინტეგრაცია ქვეყნის დანგრევაზე გადის!

მას შემდეგ, რაც „ქართულმა ოცნებამ“ „ოჯახური ღირებულებების და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კანონი მეორე მოსმენით მიიღო, ძალიან ბევრ აქამდე დაფარულ პროცესს ფარდა აეხადა. კანონი და საქართველოს ხელისუფლება განსაკუთრებული თავდასხმის ობიექტი გახდა. თუ აქამდე გარე აქტორები თავს იკავებდნენ ლგბტ პროპაგანდის აკრძალვის კანონზე ღია თავდასხმისგან, ამჯერად ეს წითელი ხაზიც გადაკვეთილია!

„პირველი მერცხალი“ ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის პრეს-სპიკერი **პიტერ სტანო** აღმოჩნდა, რომელმაც ევროკავშირის სახელით დაგმო კანონის მეორე მოსმენით მიღება, მას ნაჩქარევი უწოდა და პირდაპირ თქვა, რომ საკანონმდებლო პაკეტი ძირს უთხრის საქართველოს მოსახლეობის ფუნდამენტურ უფლებებს, თუმცა განმარტება არ მოგვისმენია, რომელ უფლებებს გამოუთხარა ძირი ლგბტ პროპაგანდის აკრძალვამ. ევროკავშირის სახელით სტანომ აღნიშნა, რომ აღნიშნული კანონი, ასევე ქართული გამჭვირვალობის კანონი საქართველოს დემოკრატიული უკუსვლის მანიშნებელია.

ფაქტობრივად იდენტური განცხადებები გააკეთა ამერიკელმა სენატორმა **ჯინ შაჰინმა,** რომელიც საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდა. შეუიარაღებელი თვალით, მარტივად გარჩევადი იყო, რომ მისი ჩამოსვლისა და მის მიერ გაკეთებული განცხადებების მიზანს ჩამოშლილი ოპოზიციის გამაგრება და ხელისუფლების დისკრედიტაცია წარმოადგენდა. სიტყვათა შეთანხმება „დემოკრატიული უკუსვლა“ შაჰინმა გამჭვირვალობის და ლგბტ პროპაგანდის აკრძალვის კანონების ჭრილში ახსენა და საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე შემაფერხებელ გარემოებად დაასახელა.

კანონი გამჭვირვალობის შესახებ მძიმე თავდასხმის ობიექტი გახდა კიდევ ერთი ამერიკელი მაღალჩინოსანის **ჯეიმს ო'ბრაიენის** მხრიდან. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ევროპისა და ევრაზიის საკითხებში პირდაპირ ამბობს, რომ კანონი, რომელიც რეალურად აწესრიგებს შავი ფულის შემოდინებას NGO-ებში და რომლის მთავარი მიზანი მხოლოდ გამჭვირვალობაა, თურმე ევროინტეგრაციის პროცესს აჩერებს. ო'ბრაიენმა გამჭვირვალობის კანონის გამო, 26 ოქტომბრის არჩევნები ფაქტობრივად შეუმდგარ პროცესად გამოაცხადა, როდესაც ამერიკის ხმასთან ინტერვიუში შემდეგი რამ განაცხადა: „ეს კანონი ცდილობს სამფეხა სკამს ერთი ფეხი გამოაცალოს. ეს არ მუშაობს. შესაბამისად, მაწუხებს, რომ ეს ნიშნავს, არჩევნები არ იქნება თავისუფალი და სამართლიანი.“

ამ დეზინფორმაციული განცხადებების პარალელურად ესპანეთის მმართველობის კოორდინაციისა და გამოყენებითი ეკონომიკის ინსტიტუტმა ახალი კვლევის ანალიზი გამოაქვეყნა, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველო ბევრად უფრო წინ არის ყველა კრიტერიუმით, ვიდრე უკრაინა და მოლდოვა. ამასთანავე ინსტიტუტი მოუწოდებს ევროკავშირს, რომ იხელმძღვანელოს შეფასების ობიექტური კრიტერიუმებით და დააჩქაროს საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესი, მათ შორის სწრაფად გაუხსნას ჩვენს ქვეყანას მოლაპარაკებები.

შორს რომ არ წავიდეთ, მხოლოდ ამ გარემოებათა ანალიზიც კი გვაჩვენებს, რეალურად რა პროცესები მიდის საქართველოსთან მიმართებით. მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირები ევროკავშირსა და ამერიკაში უკვე აღარ მალავენ იმ რეალურ მიზეზებს, რის გამოც ჩვენი ქვეყანა და ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება დემოკრატიულ უკუსვლაშია დადანაშაულებული და ევროინტეგრაციის პროცესი გაყინულია. **ეს არის ლგბტ პროპაგანდის აკრძალვა, შავი ფულით მომუშავე აგენტურული NGO-ებისათვის გამჭვირვალობის მოთხოვნა, რუსეთის მიმართ სანქციების არდაწესება და უარის თქმა მეორე ფრონტის გახსნასა და საომარ მოქმედებებში ჩართვაზე.** თუ აქამდე შედარებით რთული იყო გარჩევა, თუ რატომ ცდილობდნენ ასე დაჟინებით საქართველოს დაჩაგვრას და ადგილობრივი აგენტურისა და მათი პატრონების პროპაგანდა მეტნაკლებად მუშაობდა, თითქოს საქართველო არ ახორციელებს რეფორმებს და სწორედ ამიტომ ფერხდება ევროინტეგრაციის პროცესი, ნელ-ნელა ყველაფერს ნათელი ეფინება. სულ უფრო ცხადი ხდება, რომ რეალურად არც ევროკავშირის ბიუროკრატიას და არც მის მმართველ ამერიკის პოლიტიკურ ელიტას, ოფიციალურს თუ არაოფიციალურს, არ აინტერესებს არანაირი რეფორმა.

სამწუხაროდ, მათთვის ასოციირების შეთანხმების სქელტანიანი დოკუმენტიც და 9-პუნქტიანი დათქმაც მაკულატურაა და მეტი არაფერი. ჩვენი ქვეყნისგან დღეს კონკრეტულ ანტისახელმწიფოებრივ ნაბიჯებს, ლგბტ პროპაგანდის ხელშეწყობას, რუსეთისთვის სანქციების დაწესებას და მეორე ფრონტს ითხოვენ. ამ პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში კი მათ განსაკუთრებით ხელს უშლით გამჭვირვალობის კანონი, რადგან საქართველოში მათთვის სასურველი, ყველა დავალების შემსრულებელი ხელისუფლების მოყვანის ერთადერთ გზად სწორედ შავი ფულით დაფინანსებული არასამთავრობოები ესახებათ. პიტერ სტანოს განცხადებამ მკაფიოდ გამოკვეთა, რომ აგენტურით დაკომპლექტებული და გარედან მართული ევრობიუროკრატიისთვის ჩვენი ქვეყნის „დაფასება“ ამ დამღუპველ გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული, ისევე, როგორც ეს უკრაინის შემთხვევაში ხდება. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოსთან მიმართებით მიღებული გადაწყვეტილებები ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმებისა და დემოკრატიული პროცესების ობიექტური ანალიზით იქნებოდა მიღებული, ცხადია, უკრაინასა და მოლდოვაზე ადრე სწორედ საქართველოსთან უნდა გახსნილიყო მოლაპარაკებები.

საქართველო ამ ორ ქვეყანას უსწრებს უკლებლივ ყველა კრიტერიუმით. უფრო მეტიც, დემოკრატიის ფუნდამენტური საკითხების, მათ შორის მედიის, ადამიანის უფლებების დაცვის და კორუფციისგან თავისუფლების ინდექსებით საქართველო ევროკავშირის და ნატოს წევრ ქვეყნებზე ბევრად წინაა და ეს კვლევები „გლობალური ცვლილებების მონაცემთა ლაბორატორიისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის“ მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით ქვეყნდება. სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ დღეს საქართველოსგან არც ევროკავშირი და არც ამერიკის შეერთებული შტატები არანაირი რეფორმებს არ ელოდება. მათი მოთხოვნების მარტივი ანალიზიდანაც ჩანს, რომ **დღეს საქართველოს ევროინტეგრაცია ქვეყნის დანგრევაზე გადის.**

საქართველოშიც და ევროპის ქვეყნებშიც, თავისუფალი და კრიტიკული აზროვნების მქონე ადამიანები ნათლად ხედავენ, რომ დღეს ევროპა ღრმა კრიზისშია და აგენტოკრატიის მმართველობის მძიმე შედეგებს იმკის. ევროპულმა ბიუროკრატიამ, რომელიც სრულად კონტროლდება და კოორდინირდება ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ეგრეთწოდებული „დიფ სთეითისგან“, სრულად დაუკარგა ფასი ევროკავშირს – გაერთიანებას, რომელიც ოდესღაც სწორედ იმიტომ იყო სასურველი და მისაბაძი, რომ ქრისტიანულ ღირებულებებსა და ჯანსაღ ფასეულობებზე იყო დაფუძნებული. საბედნიეროდ, ევროგაერთიანების ქვეყნებში ბოლო პერიოდში ჩატარებული არჩევნების შედეგები ნათლად აჩვენებს, რომ ღრმა კრიზისს ევროპელებიც აცნობიერებენ და ევროპული ბიუროკრატიის აგენტოკრატიისგან გათავისუფლება დაუსახავთ მიზნად.

ჩვენი მხრივ, ჩვენც ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ევროპა მალე გათავისუფლდეს მარიონეტი მმართველობითი სისტემისგან. თუმცა იქამდე, ჩვენი ქვეყნისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს 26 ოქტომბრის არჩევნებს. გლობალური ომის პარტია, რომელიც საბედნიეროდ, ქართული მოსახლეობისთვის უკვე კარგად გაშიფრული და ნაცნობი მეტაფორაა და ქართველმა ხალხმა ამ მეტაფორაში კონკრეტული ადამიანები, პოლიტიკური ჯგუფები და გაერთიანებები ამოიცნო, ყველაფრის ფასად ეცდება, საქართველოს ხელისუფლებაში მათ მიერ მართული აგენტურა მოიყვანოს. თუ გლობალურმა ომის პარტიამ ამ მიზანს მიაღწია, ჩვენს ქვეყანაში ბომბების წვიმა და ქვეყნის უკრაინიზაცია მეორე დღესვე დაიწყება, ხოლო თუკი ქართველი ხალხის გონიერება გაიმარჯვებს, ჩვენს ქვეყანასაც გავიყვანთ სამშვიდობოს და ევროველ ხალხსაც ვაჩვენებთ იმის მაგალითს, თუ როგორ არ უნდა დაუთმო შენი ქვეყანა აგენტურას, რაც უნდა დიდი და მძიმე იყოს ზეწოლა!“

9.09.2024

დღეს ევროკავშირი ეროვნებით ქართველი, მაგრამ სინამდვილეში კრიმინალების თავშესაფარია!!!

„ერთიანი ნეიტრალური საქართველო“:

კეზერაშვილი, ადეიშვილი, სააკაშვილი — ეს ადამიანები განასახიერებენ ყველაფერს, ერთად აღებულს, რაც კრიტიკულ წინააღმდეგობაშია ევროპულ ღირებულებებთან!!!

განცხადებაში აღნიშნულია, რომ მაშინ, როცა კეზერაშვილის მსგავსად ადეიშვილს არაერთი უმძიმესი დანაშაული აქვს დადასტურებული, სამართლის უზენაესობის პირობებში ის აუცილებლად ქართულ ციხეში უნდა იხდიდეს სასჯელს.

„კეზერაშვილის პარალელურად, ევროპის ქვეყნებში თავისუფლად გადაადგილდება კიდევ ერთი ქართველი კრიმინალი – ზურაბ ადეიშვილი. არათუ გადაადგილდება, უკრაინის ხელისუფლებამ მას უმაღლესი თანამდებობაც კი მისცა და ისიც, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ოფიციალური ვიზიტებით დადის და საკუთარ „გამოცდილებას“ უზიარებს ევროპელ კოლეგებს. მაშინ, როცა კეზერაშვილის მსგავსად ადეიშვილს არაერთი უმძიმესი დანაშაული აქვს დადასტურებული, და სამართლის უზენაესობის პირობებში ის აუცილებლად ქართულ ციხეში უნდა იხდიდეს სასჯელს. სხვათა შორის, როდესაც სისხლიანი რეჟიმის ორ მთავარ ბანდიტზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს ამ დანაშაულებრივი ჯგუფის მეთაური – მიხეილ სააკაშვილი. მისი ბანდის წევრების მსგავსად, ისიც სრულიად თავისუფლად დადიოდა ევროკავშირის წევრი ერთი ქვეყნიდან მეორეში, სანამ პატრონებმა საქართველოში არაუნის კონტეინერით ფარულად შემოპარვა და რევოლუციური გეგმების განხორციელება არ დაავალეს. რომ არა ქართული სპეცსამსახურების უმაღლესი კვალიფიკაცია, პროცესების გართულების რისკი ნამდვილად არსებობდა, – აღნიშნულია „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ განცხადებაში.

ასევე განცხადებაში ვკითხულობთ, რომ ზემოთ ხსენებული ფაქტები უტყუარად ადასტურებს ერთ რამეს – დღეს ევროკავშირი ეროვნებით ქართველი, მაგრამ სინამდვილეში უსამშობლო კრიმინალების თავშესაფარია.

„ევროკავშირის დღევანდელი ბიუროკრატია სწორედ აღნიშნული მიზნის მიღწევას ემსახურება და ამით არის განპირობებული ის უსამართლო დამოკიდებულება, რასაც საქართველოს მიმართ აქვს ადგილი. ამიტომ ხდება ისეთი აბსურდული რეზოლუციების მიღება, სადაც კეზერაშვილი უდანაშაულო მედიამფლობელია, რომელიც საქართველოს ევროკავშირთან აახლოებს...

ეს არის ბოლომდე დეგრადირებული ევრობიუროკრატიის სახე, რომელიც ეგრეთ წოდებული Deep state-ისგან მართული ამერიკული სპეცსამსახურებისგან მიღებული დირექტივის განხორციელებისთვის მზად არის, ფეხქვეშ გათელოს ოდესღაც ევროპასთან ასოცირებული ფასეულობები – იქნება ეს დემოკრატია, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები თუ სხვა“, – ნათქვამია „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ წერილში.

პეტრე მამრაძე: ლაფანყურის საშინელი ტრაგედია რომ გამოეძიებინათ, არავითარი გია ლორთქიფანიძე და მისი ბანდის წევრები არ იქნებოდნენ!



„მახსოვს გარამიძის სამარცხვინო გამოსვლა პარლამენტში, რაღაცას ლუღლუღებდა, ძლივს მიმართავდა ივანიშვილს ქვევიდან ზევით, მერე გათავხედდნენ ნაცები“, თორემ თავიდან ძალიან დიდ სტრესში იყვნენ“, – აცხადებს „მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი პეტრე მამრაძე.

ირაკლი კობახიძე ქართული პოლიტიკის გაჯანსაღებას გეგმავს და აანონსებს, რომ როგორც გერმანელებმა მოაშორეს „ნაციონალ-სოციალისტები“ თავიანთ ქვეყანას, ასევე უნდა მოვაშოროთ კოლექტიური „ნაცმოძრაობა“ ჩვენს ქვეყანას, როგორც ყველაზე ანტიევროპული ძალა. კობახიძის ამ სურვილს უკვე გამოუჩნდნენ კრიტიკოსები. ISFED-ი შეშფოთებას გამოთქვამს „ნაცმოძრაობის“ არაკონსტიტუციურად გამოცხადების გამო და ავიწყდება, რომ არაერთ დემოკრატიულ ქვეყანაში აუკრძალავთ მოძალადე პარტიები. მათ შორის, ევროპამ 150 პარტია აკრძალა. საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღების შემთხვევაში, რამდენად შეძლებს მმართველი გუნდი „ნაცმოძრაობის“ არაკონსტიტუციურად გამოცხადებას?

„სააკაშვილის ბიძა მილიონ დოლარს აძლევდა იმას, ვინც „სნაიპერსკი“ ვინტოვკით მოკლავდა ივანიშვილს — მილიონი დოლარი არ გაუჭირდება იმ კაცს, ვინც ტრამპის გვერდით შეისყიდა აპარტამენტები“

– **ყველაფერი** აუცილებლად სამართლებრივ ჩარჩოებში უნდა განხორციელდეს. სხვათა შორის, კობახიძემ და სხვებმაც ამას ხაზი გაუსვეს, რომ ჩვენ სამართლებრივ პროცესს დავიწყებთ ამასთან დაკავშირებით, რომ ჩვენი მოსახლეობაც და უცხოეთშიც ყველა ადამიანი დარწმუნდეს იმაში, რომ სამართლებრივი პროცესი მიმდინარეობს „ნაცმოძრაობასთან“ მიმართულებით ისევე, როგორც სამართლებრივი პროცესის შედეგად ევროპის ქვეყნებში აიკრძალა ცალკეული პარტიები და არავის ხმა არ ამოუღიაო. ჩვენი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ჯგუფურად გასამართლებას, თუნდაც ჯგუფურად იყოს დანაშაული ჩადენილი, ვთქვათ, მკვლელობა – ყოველთვის დგება ცალკეული პირის დანაშაულის საკითხი და პროპორციულად ცალკეულ პირს სჯიან. მაგრამ პარტიის აკრძალვა სულ სხვა არის.

12 წლის წინ მოვიდა „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში და მის პროგრამაში ერთ-ერთი ძირითადი მიმზიდველი ლოზუნგი სამართლიანობის აღდგენა იყო. მოგეხსენებათ, „ნაცმოძრაობის“ დროს უსამართლობას ძალიან ბევრი ადამიანი განიცდიდა საქართველოში. ვაჟა-ფშაველას აქვს შესანიშნავად ნათქვამი, „სამართალმა ხელი რომ მომაჭრას, არ მეტკინებაო“. მართლაც ასეა, მე ვიცი ოჯახები, რომელთა წევრებიც მძიმედ დაისაჯნენ კონკრეტული დანაშაულისთვის, თვითონაც იცოდნენ, რომ ჩადენილი ჰქონდათ დანაშაული და ისეთი არავითარი პროტესტი არ ჰქონდათ. სამაგიეროდ, როცა უსამართლოდ გაჭრიან ხელს, მორალურად ეს ძალიან მძიმეა. „ქართული ოცნების“ პერიოდში გადიოდა წლები, მოსახლეობის დიდი ნაწილი გაწბილებული იყო იმით, რომ სამართალმა არ იზეიმა, ბიძინა ივანიშვილმაც ეს შენიშნა. როგორც ჩანს, სამართალი, როგორც ურემი, ნელ-ნელა მოჭრიალებს, ბევრი მთგანი არჩევნებზეც აღარ მიდიოდა, ამათი იმედი მქონდა და გამიცრუესო. მეორე მხრივ, ხელისუფლება ცდილობდა, პოლარიზაცია შეემცირებინა, კოჰაბიტაცია განეხორციელებინა. სულ რაღაც 10 თითი გვეყოფა იმის ჩამოსათვლელად, ვინ დააპატიმრეს: ახალაია, მერაბიშვილი და კიდევ რამდენიმე სხვა პიროვნება, მეტი არავინ. ქონება რამდენს არ დაუბრუნდა. „ქართული ოცნების“ მხარეს იყო ჰუმანური მომენტი, მიიღეთ ეს პირობები და ამიერიდან ნუღარ დაარღვევთ კანონს, ნუ იქნებით აგრესიულები, მიზნესი შეგრჩეთ, ქონება შეგრჩეთ, იცხოვრეთ ნორმალურადო. სხვათა შორის, „ნაციონალების“ ნაწილმა ეს შეთავაზება ნორმალურად მიიღო და შემიძლია ბევრი ადამიანი დავასახელო, ვინც გაქრა პოლიტიკიდან. „ნაცმოძრაობის“ ძალიან ცნობადი მაშინდელი სახეები საერთოდ არ გვინახავს უკვე ამდენი წელიწადია.

ეს ადამიანები მშვენივრად არიან, არავის არ უჭირს ეკონომიკურად, ზოგიერთი მათგანი უცხოეთში ცხოვრობს, ზოგიერთი საქართველოში დარჩა, არავინ დევნის, მაგრამ დარჩა **„ნაციონალების“ აგრესიული ნაწილი, რომელიც თავიდან ძალიან დიდ სტრესში იყო. მახსოვს გარამიძის სამარცხვინო გამოსვლა პარლამენტში, რომელიც რაღაცას ლუღლუღებდა, ძლივს მიმართავდა ივანიშვილს ქვევიდან ზევით, მერე გათავხედდნენ „ნაცები“, უდანაშაულობის სინდრომი გაჩნდა მათში. „ნაცები“ ხომ ძალას ცნობენ მხოლოდ, ტყვილი, სიძულვილი, ძალადობა – აი, მათი კრედო, სამი საყრდენი.**

დაუსჯელი დანაშაული უბიგებს დამნაშავეს უფრო დიდი დანაშაულის ჩადენისკენ, დამნაშავე ხომ სხვანაირი ფსიქიკის ადამიანია, ვიდრე ის, ვისაც დანაშაული არასოდეს ჩაუდენია და ასეთებიც არიან. თუ კაცმა დანაშაული ჩაიდინა და ეს დანაშაული შერჩა, ე.ი. ამაზე მეტი დანაშაულის ჩადენა შეუძლია. ეს თანდათან გამოჩნდა, განსაკუთრებით, 2020 წლის შემდეგ, როდესაც დამნაშავეები არ მალავდნენ, ძალა გამოვიყენოთ და ახლავე დავასრულოთ ეს ხელისუფლებაო. გამოვარდა თემურ ალასანია, ბოიკოტი, ახალ კომიტეტს ვქმნით, შულავერის კომიტეტს, არავინ არ შედის პარლამენტშიო. აქედან „ოცნების“ ყოფილი ვიცე-სპიკერი გუბაზ სანიკიძე ამბობდა, მე ბოლო ვიქნები, ვინც პარლამენტში შევაო, ასეთნაირად უპატაკებდა თემურ ალასანიას.

– თუკი სამართლიანობა აღდგება, ეს ისევე გამოიწვევს „ნაცმოძრაობის“ გაქრობას, როგორც ნიურნბერგის ტრიბუნალმა დანაშაულებრივ ორგანიზაციად ცნო „ნაციონალსოციალისტური“ პარტიის დამცველი რაზმები, მათ შორის, გესტაპო და ნაცისტური პარტიის შემადგენლობა?

– „ნაციონალები“ შესაძლოა, მთლად ვერ მოშორდნენ, მაგრამ სწორი გამოძიებისა და განაჩენების სამართლიანი აღსრულების შედეგად მოსალოდნელია მათი მუხტის გაქრობა. ნახეთ, **ლაფანყურის საშინელი სისხლიანი დანაშაული გამოძიებული არ არის, სასამართლოში პროცესი ჩატარებული არ არის. არადა, 2012 წლის აგვისტოში მოხდა ეს დანაშაული. 12 წელი არაფერი გაკეთებულა ამ საქმის გამოძიებისთვის. ეს მაშინ, როცა გვვირდებოდნენ ლაფანყურის სპეცოპერაციის გამოძიებას, სულ ცოტა ხანში დასრულდება გამოძიება, საშინელებას გაიგებთო. მთელი პასუხისმგებლობით გეუბნებით, ეს ფაქტი დროულად რომ გამოეძიათ, არავითარი გია ლორთქიფანიძე არ იქნებოდა დღეს უკრაინაში, ლაფანყურის დანაშაულის ეს მთავარი ორგანიზატორი და შემსრულებელი სააკაშვილის და მერაბიშვილის დავალებით და ვერ გამოგზავნიდა ის უკრაინიდან სააკაშვილს. გვერი რამ სხვანაირად იქნებოდა, რადგან დანარჩენებიც დაინახავდნენ, რომ დანაშაულისთვის ყველანი ციხეში წავიდოდნენ.**

– ხშირად იმართლებენ თავს, რომ „ქართულ ოცნებას“ დასავლეთი აბრკოლებდა, თუმცა დღეს ირკვევა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ თავად არჩია „ნაცების“ მძევლობაში ყოფნა. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?

– დასავლეთი არ აბრკოლებდა „ქართულ ოცნებას“, სინამდვილეში, ეს გამოწვეული იყო იმით, თუ რას ეუბნებოდნენ ივანიშვილს „ოცნებაში“ ჩანერგილი ადამიანები. ყველას გვახსოვს ლევან ბერძენიშვილის განცხადება, სააკაშვილის არათუ დაპატიმრება, საერთოდ, მის წინააღმდეგ საქმის აღძვრაც კი არ შეიძლება, ვინაიდან სააკაშვილი გაცილებით პოპულარულია მსოფლიოში, ვიდრე მთელი საქართველოო. იმ დროს ბერძენიშვილი „ქართულ ოცნებაში“ თანამდებობის პირი იყო, პარლამენტში მოღვაწეობდა. ეგეთები რომ გეყოლება და ყოველდღიურად გარწმუნებენ, აი, ჩვენ ველაპარაკეთ უცხოელებს და ისეთი ზეწოლაა სამართლიანობის აღდგენის საწინააღმდეგოდ, რა ვქნათო. თვითონ ივანიშვილი ძალიან იშვიათად ხვდებოდა უცხოელებს, ესენი აწვდიდნენ არასწორ ინფორმაციას. ამ დროს ევროპის საბჭოს უზენაესმა კომისარმა ადამიანის უფლებების დარგში, რომელმაც ჰამარბერგი შეცვალა, ღია წერილი მოიწერა, „ახლა მაინც იმედი გვაქვს, წინა ხელისუფლების ყველა დანაშაული ჯეროვნად იქნება გამოძიებული და სამართლიანად დასჯილიო“.

– თუკი დამნაშავის ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, დანაშაული განმეორებადია, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ „ნაციონალების“ სამიზნე ახლა ბიძინა ივანიშვილია და მისი გადაადგილება მთელ საქართველოში არც თუ ისე უსაფრთხოა?

– გავიხსენოთ, სააკაშვილის ბიძა როგორი ემოციით ამბობდა, ეს ხომ ჩაწერილია, მე მგონი, ვიდეოცაა ამის შესახებ, „აღარ შემიძლია, ვეღარ მოვითმენ, ვეღარ დავიცდი, მორჩა და გათავდა, მილიონ დოლარს ვაძლევ იმას, ვინც „სნაიპერსკი“ ვინტოვკით მოკლავს ივანიშვილს“. ალასანია ამას რუსულად ამბობს და ეს ხუმრობა არ არის. მით უმეტეს, მილიონი დოლარი არ სჭირდება ამას, მოიძებნებიან ადამიანები, ვისთვისაც თანხის ოდენობა სულერთია. მაინცდამაინც ქართველი კი არა, სხვა ეროვნების რამდენი ადამიანია, ოღონდ გადაუხადე ფული, ფოტო მიეცი და დავალებას შეასრულებენ. მილიონი დოლარი ნამდვილად არ უჭირს ადამიანს, ვინც ტრამპის გვერდით შეისყიდა აპარტამენტები, როგორც სააკაშვილის დედას არ გაუჭირდა 920 ათასი დოლარის გადახდა სააკაშვილთან დაკავშირებით ტყვილის გამავრცელებელი კომპანიისთვის.

– თუკი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან ჩამოცილებას შეეცდებიან, რა შედეგს მიაღწევენ? მხოლოდ ბიძინა ივანიშვილზე დგას „ქართული ოცნება“? მმართველი გუნდი დამოუკიდებლად ვერ აკრეფს იმ კურსს, რაც ბიძინამ დაიწყო?

– ივანიშვილის ფაქტორი დღეს ძალიან ძლიერ ფაქტორად რჩება. ვერ წარმომიდგენია, ეს ფაქტორი დრო და არ გაქრეს, ამ გუნდმა დიდხანს შეინარჩუნოს მდგრადობა, შემართება და ასეთი რესურსი, რადგან მოპირდაპირე მხარესაც ძალიან დიდი ფინანსური რესურსია თავმოყრილი. რა უნდა დაუპირისპირო ამას? ბიუჯეტის ფულს ხომ ვერ დახარჯავ? დღევანდელი მოცემულობით, ივანიშვილის ნდობით ბიზნესმენები ოფიციალურად ღიად აფინანსებენ „ქართულ ოცნებას“. ეს ხომ ვიცით, რომ „ოცნება“ მეტ დაფინანსებას ღებულობს ოფიციალურად, ვიდრე დანარჩენი პარტიები ერთად აღებული და, მადლობა ღმერთს, რომ ასეა...



მოამზადა
მანანა ნოზაძემ, for.ge

2-3 წელიწადში საქართველოს ყველა სკოლა სრულად ევროპულ სტანდარტზე მოეწყობა

რამდენიმე ასეული სკოლის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს და 2-3 წელიწადში საქართველოს ყველა სკოლა იქნება სრულად ევროპულ სტანდარტზე რეაბილიტირებული, – განაცხადა ჟურნალისტებთან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა.

„რამდენიმე დღის წინ ვიყავი ახალციხეში, სადაც ახალციხის ახლადრეაბილიტირებული სკოლა დავათვალიერე, სადაც ერთ კვირაში სწავლა დაიწყება, ასევე გახლდით სოფელ უდეში, სადაც სკოლის რეაბილიტაცია ჩატარდა, იქაც ერთ თვეში სრულფასოვნად დაიწყება სწავლა და უახლოეს პერიოდში იქნება ბევრი ახალი სკოლის პრეზენტაცია“, – აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

განახლებული საჯარო სკოლა სოფელ ხრესილში

„დასრულდა ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხრესილის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც გამაგრდა სკოლის კედლები, ასევე განხორციელდა ღონისძიებები ნაპირსამაგრი სამუშაოების მიმართულებითაც. 350 მავშვზე გათვლილი სკოლა ყველა თანამედროვე მოთხოვნას აკმაყოფილებს“, – აღნიშნა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ ხრესილის საჯარო სკოლის დასრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოების დათვალიერების შემდეგ.

სკოლის რეაბილიტაცია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა განახორციელა.

უწყების ინფორმაციით, სკოლის შენობაში განახლდა საკლასო ოთახები, საპირფარეშოები, დამონტაჟდება ლიფტი, გათბობის, წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემები. მოეწყო შიდა და გარე სპორტული მოედნები და ეზოს ტერიტორია. შენობა ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

„სკოლის შენობა სრულად არის ადაპტირებული ყველა მიმართულებით, როგორც სასწავლო პროცესის, ასევე საინჟინრო და ტექნიკური გადაწყვეტების მხრივ. ორსართულიან შენობას დაემატა ლიფტი, საკლასო ოთახები, ლაბორატორიული სივრცეები. ხრესილს უკვე აქვს ისეთი სკოლა, რომელიც ღირსეულ სასწავლო პირობებს სთავაზობს როგორც მავშვებს, ასევე პედაგოგებს. ვულოცავ მათ ახალი სასწავლო წლის დაწყებას ახალ სკოლაში და დიდ წარმატებას ვუსურვებ“, – აღნიშნა ირაკლი ქარსელაძემ.

სოფელ ხრესილის საჯარო სკოლის რეაბილიტაციის სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან 3,7 მილიონი ლარით დაფინანსდა.

ვინ იქნება მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მფლობელი

მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს 5 ფინალისტი დასახელდა. მათგან ერთ-ერთი 4 ოქტომბერს, მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მფლობელი გახდება. გარდა ამისა, მას ფულადი პრიზის სახით კამპანიის გენერალური სპონსორისგან – „გუდავაძე-პატარკაციშვილის“ ფონდისგან 15 000 ლარი გადაეცემა. საუკეთესო ათეულის დანარჩენ წევრებს ლიბერთი დააჯილდოებს.

2024 წლის მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ფინალისტები არიან:

გიორგი ლიპარიშვილი – თბილისის მე-6 საავტორო სკოლის, ათასწლეულის სკოლის, საერთაშორისო ქართული სკოლის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;

ნათია ნარსავიძე – დმანისის N3 საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი;

დიმიტრი პოპოვი – გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ გურჯაანის საჯარო სკოლის მათემატიკის და კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი;

ნათია უჩავა – თბილისის N126 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის, ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და ბუნებისმეტყველების მასწავლებელი;

სოფიო ქუხილავა – მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ წვირმის საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი.

კონკურსის გენერალური სპონსორია გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდი, ოქროს სპონსორია ლიბერთი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. მხარდამჭერები არიან: **EPAM Georgia**, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (**ctc**), ალტე უნივერსიტეტი და პირველი არხი.

მასწავლებლის ეროვნული ჯილდო 2017 წლის 13 მაისს დაწესდა. აღნიშნული ინიციატივა საქართველოში უკვე მერვედ ხორციელდება და ის მასწავლებელთა პოპულარიზაციისკენ მიმართული გლობალური კამპანიის – „**The Global Teacher Prize**“ ნაწილია.

გემო ფესტი ზუგდიდში

7-8 სექტემბერს სამეგრელომ გემო ფესტს პირველად უმასპინძლა. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის გასტრონომიული ფესტივალი ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში გაიმართა. გასტრონომიული ფესტივალის მნიშვნელობაზე ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მაია ომიაძემ ისაუბრა.

„გემო ფესტი პირველად ჩატარდა სამეგრელოში. ზუგდიდის ბოტანიკურმა ბაღმა 2 დღის განმავლობაში უმასპინძლა. გემო ფესტს ტურისტული პროდუქტის, გასტრო ტურიზმის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. მთელი საქართველოს მასშტაბით ჩვენ

ვთავაზობთ ტრადიციული გემოების ახლებურ ვერსიას. სამეგრელოში ნამდვილად ძალიან საინტერესო იყო ეგრეთ წოდებული „სთრით ფუდი“, რაც მეგრული სამზარეულოს ახალ ვერსიებს მოჰყვა. ძალიან ბევრი სტუმარი ეწვია ფესტივალს 2 დღის განმავლობაში. პირველ დღეს ერთად ვუგულშემატკივრეთ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს და გამარჯვება ერთად გავიზიარეთ. ეს გამარჯვების ელფერი ძალიან მოუხდა გემო ფესტს. მეორე დღეს ჯგუფი „მგზავრები“ წარდგნენ კონცერტით და ვფიქრობ, როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ქართველ მოგზაურებს თუ საერთაშორისო მოგზაურებს, სამეგრელოს გემო ფესტი ძალიან მოეწონათ და ვნახოთ, რა იქნება შემდეგი ლოკაცია“, – განაცხადა მაია ომიაძემ.

ზუგდიდში გემო ფესტის მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, წარმოედგინათ ტრადიციული, იშვიათი და ნაკლებად ცნობილი მეგრული კერძები.

გემო ფესტის ფარგლებში, ზუგდიდში, ბოტანიკურ ბაღში კვების ზონა, აგრობაზარი, საბავშვო გასართობი კუთხე მოეწყო.

გემო ფესტის მიზანია საქართველოს რეგიონებში ადგილობრივი სამზარეულოს პოპულარიზაცია, მეწარმეების/ოჯახების ხელშეწყობა, შიდა და საერთაშორისო მოგზაურების ნაკადების ზრდა.

ტექნოლოგიური ბანაკი სტუდენტებისათვის

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ორგანიზებით, თელავის, ახმეტის, გურჯაანის ტექნოპარკების ინიციატივით და კახეთის რეგიონის 6 მუნიციპალიტეტის მერიის (ახმეტა, თელავი, დედოფლისწყარო, ლაგოდეხი, საგარეჯო, ყვარელი) მხარდაჭერით „კახეთის ტექნოლოგიური ბანაკი სტუდენტებისთვის“ გაიხსნა.

გახსნის ღონისძიებას სასტუმროში „სავანეთი“ კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული, **გიორგი ალადაშვილი, GITA**-ს თავმჯდომარე **ავთანდილ პასრაძე** და კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების მერები დაესწრნენ.

ტექნოლოგიური ბანაკის მიზანია კახეთის რეგიონის მასშტაბით წარმატებული სტუდენტების სტარტაპ საქმიანობით დაინტერესება, სტუდენტებს შორის მყარი სამომავლო კავშირების გაჩენა და მათთვის **GITA**-ს არსებული პროგრამების, მათ შორის კახეთის რეგიონული ტექნოპარკების პროექტებისა და დაფინანსების წყაროების შესახებ ინფორმირებულობის დონის გაზრდა.

ბანაკში მონაწილეობას მიიღებენ კონკურსის წესით შერჩეული 50 სტუდენტი, რომლებიც არიან კახეთის 8 მუნიციპალიტეტიდან ერთ-ერთში რეგისტრირებული ფიზიკური პირები.

პროექტის განმავლობაში მონაწილეებს ჩაუტარდებათ ლექცია-სემინარები, ვორქშოპები, გუნდური სამუშაოები. კონკრეტულად, სამიზნე აუდიტორია გაეცნობა ინოვაციურ და ტექნოლოგიურ მეწარმეობასა და კახეთის წამყვანი დარგების ტექნოლოგიური/ინოვაციური განვითარების პოტენციალს.

საქართველოს რესპუბლიკა
პუბლიცისტური სვეტი
№104. ოთხშაბათი, 11 სექტემბერი, 2024 წელი

კარგი ამომრჩევლის გარეშე არ არის კარგი ხელისუფლება, კარგი ხელისუფლების გარეშე არ არის კარგი სახელმწიფო!

ტამანგო

ამ წერილის სათაური დიდი ფრანგი მწერლისგან პროსპერ მერიმესგან ვისესხე. სწორედ მის ერთ-ერთ შესანიშნავ მოთხრობას ჰქვია ,,ტამანგო". ამ მოთხრობაში მაღალმხატვრულად არის გადმოცემული ერთი ტრაგიკული ამბავი, რომელიც, ჩემი აზრით, ფრიად ჭკუის სასწავლებელ რეკომენდაციას წარმოადგენს საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით არჩევნების წინა პერიოდში. სწორედ ასეთი პერიოდი გვიდგას დღეს!

ამ მოთხრობის სიუჟეტი თუ არ გაგაცანით, ისე, ვფიქრობ, გაუგებარი იქნება მისი დიდაქტიკური არსი. მაშ, ასე:

ამერიკელ მონათმფლობელებს აფრიკაში დატყვევებული ბანგები გემით მიჰყავთ შტატებში მონებად. გემის ტრიუმი სამასამდე ჯანღონით სავსე ადამიანით არის სავსე. ბანგებმა იციან, რომ მთელი დარჩენილი სიცოცხლე მონურ შრომაში მოუწევთ გატარება და აუტანელ ტანჯვა-წამებაში ამოხდებათ სული, მაგრამ რა ქნან, არანაირი იარაღი არ აქვთ, გემზე მონათმფლობელებს კბილებამდე შეიარაღებული მცველების რაზმი ჰყავთ და არც ტყვია-წამალი აკლიათ.

დატყვევებულ შავკანიანთა შორის არის ერთი, ყველასგან გამორჩეული ძლიერი და მამაცი ახალგაზრდა – ტამანგო, რომელიც არ აპირებს მონობაში სიცოცხლეს და თავისუფლებისთვის თავგადადებული ბრძოლისათვის არის მზად. სწორედ მან ჩააგონა ტყვეებს აჯანყების იდეა. გემზე ორმოცდაათამდე შეიარაღებული ადამიანია, ჩვენ სამასამდე ვართ, ტრიუმის კარებს რომ გააღებენ საკვების ჩამოსაწოდებლად, ავიჭრათ მაღლა, დავერიოთ იარაღიანებს, ყველას დახოცვას ვერ მოასწრებენ, ჩვენ ყველას დავხოცავთ, ოკეანეში გადავყრით და გავთავისუფლდებით, ყველა არა, მაგრამ ნაწილი მაინცო. მონობაში სიცოცხლეს სიკვდილი სჯობიაო.

დაიყოლია ტამანგომ ტყვეები და როგორც კი ტრიუმის ხუფი გააღეს, ტამანგო და ყველაზე მამაცი ტყვეები გემბანზე აცვივდნენ, მათ სხვებიც მიჰყვნენ და გაიმართა დაუნდობელი ხოცვა-ულეტა. როცა გემზე მყოფი ყველა თეთრკანიანი ზღვაში გადაუძახეს, აღმოჩნდა, რომ ორასზე მეტი ტყვე ცოცხალი გადარჩენილიყო. გამარჯვების ყივილ-ხივილმა გადაუარა ოკეანის ტალღებს.

ახლა პრობლემა ის იყო, როგორ დამრუნებულიყვნენ აფრიკის კონტინენტზე, ან სხვა ხმელეთზე მაინც. გემის მეთაურობა აჯანყების ორგანიზატორს ტამანგოს მიანდეს, მაგრამ ნავიგაციისა არც მან იცოდა რამე და არც მისმა მამაცმა თანამებრძოლმა ვინმემ, აფრააშვებული გემი ოკეანის ტალღებს უმისამართოდ მიაპობდა. ტამანგოს იმედი ჰქონდა, სადმე ხმელეთზე გააღწევდნენ, მაგრამ ამოვარდა ქარიშხალი, უმართავ გემს ბურთივით ისროდა უზარმაზარი ტალღები და მალე დალეწილი ხომალდი ,,გამარჯვებულ ეკიპაჟთან" ერთად ოკეანის ბნელ უფსკრულში შთაინთქა!

ტამანგოს უსაზღვროდ უყვარდა თავისუფლება, მაგრამ იმ ხომალდის მართვისა არა იცოდა რა, რომლის თავისუფლებისკენ წაყვანასაც აპირებდა...

* * *

ერთი ჩემი მეგობარი ხშირად იმეორებდა ხოლმე ეროვნული მოძრაობის აზვირთების პერიოდში, სამშობლოს სიყვარული პროფესია არ არის, ქვეყნის მართვას ცოდნა სჭირდება და ამ ცოდნის საგანი პოლიტიკაა.

ქვეყანა, მით უფრო მტრულ თუ არამეგობრულ გარემოცვაში მყოფი ახალგაზრდა სახელმწიფო იმ ხომალდს ჰგავს, ტამანგომ რომ ჩაიგდო ხელში. სახელმწიფოს, როგორც ხომალდის მართვას, ნავიგაციის ცოდნა სჭირდება, რომ ტალღებს ხომალდის კიჩო შეაგებოს და გაჭრას იგი და არა ფერდი, რომელიც უთუოდ დაიმსხვრევა, სწორედ მცოდნე კაპიტანს, შტურმანსა და ბოცმანს, ზღვაოსნობის მცოდნე მატროსებთან ერთად შეუძლიათ ოკეანის ბობოქარ ტალღებში გავლა და სამშვიდობოს გასვლა.

ამ ოთხი ათწლეულის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის საჭესთან ტამანგოებიც ვნახეთ და მათი ეკიპაჟებიც, რომლებმაც ქვეყანა უაზროდ ატარეს აბობოქრებული პოლიტიკის ოკეანეში და ნავსაყუდელი ჯერაც ვერსად დალანდეს, ხომალდის ეკიპაჟი კი უკვე განახევრებულია!

მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი...

ზურაბ ჟვანია

ქართველები კავკასიურ რასას წარმოადგენენ...

ჰეგელი

ამასწინათ ამომრჩევლებთან შეხვედრაზე ხელისუფლების წარმომადგენლები ასე მიმართავდნენ ხალხს! ოქტომბრის არჩევნები რომელიმე პარტიის გადარჩენის ამოცანას კი არ ისახავს, არამედ ქვეყნის გადარჩენისო. ამიტომაც, ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს 26 ოქტომბერს და ხმა მოგვცეს ჩვენ და არა ქვეყნის დამღუპველ ომის პარტიას, კოლექტიურ ნაცმოძრაობასო!

ამაში არ შეიძლება არ დაეთანხმო ხელისუფლებას, მაგრამ მხოლოდ ერთი არსებითი შენიშვნის გათვალისწინების შემდეგ, რომელსაც ახლა კითხვის ფორმით ჩამოვაყალიბებ!

ქვეყნის გადარჩენის რა პროგრამას სთავაზობთ რიგით ამომრჩევლებს? იმას, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღების შემთხვევაში მიიღებთ ლგბტ პროპაგანდის ამკრძალავ კანონს, ერთნაირსქესიანთა ქორწინებას გამოაცხადებთ დაუშვებლად და ანტიკონსტიტუციურად, მიიღებთ ისეთ საკანონმდებლო აქტებს, რაც ქართული ღირებულებებისა და ჩვენი ეროვნული იდენტობის გარანტიებს მოგვცემს... აშენდა თქვენი ოჯახი, მაგრამ ამის შემდეგ რომ აცხადებთ, ევროპაში ჩვენი ინტეგრაცია ჩვენი ისტორიული არჩევანია და ჩვენი ადათ-წესებით, ეროვნული იდენტობით, ოჯახის ტრადიციული ინსტიტუციებით შევალთ ევროპულ ოჯახშიო, ეს უნდა დაგიჯეროთ ხალხმა, მაშინ, როდესაც ევროკავშირის მმართველები და ნატოელი ბოსები გვეუბნებიან, თუ ჩვენს რეკომენდაციებს არ შეასრულებთ, თქვენი ფეხი არ იქნება ევროპაშიო. როგორ, ძალით შეიჭრებით ევროპაში? ძალით ერთხელ ცხინვალში შეიჭრა ჩვენი ფსევდოტამანგო და რაც მივიღეთ, გახსოვთ, ალბათ!

რომ აცხადებთ, ჩვენ ევროპული ცივილიზაციის თანაშემოქმედები ვართ და ჩვენი ადგილი სწორედ იქ არისო, ეს შეიძლება ვინმე მიხო ჯოხიტლეკიაშვილმა და ძუკუ აშორდიამ დაიჯეროს, მაგრამ ყველა გამოთაყვანებული ხომ არ არის?! ის, რაც ერთხელ უბედური საქართველოს უბედურმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ განაცხადა ერთ-ერთ ევროპულ შეკრებაზე, **მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელიო,** – ეს დაიჯერეთ და... გენიალური – ჰეგელის ნათქვამი **„ქართველები კავკასიურ რასას წარმოადგენენო"**, ეს მიაყურისძირეთ? თუ ჩვენი არქეოლოგების ნათქვამი გჯერათ, პირველი ევროპელები დმანისში ცხოვრობდნენ და ჩვენ მიერ აქ აღმოჩენილ ნამარხში ზეზვასა და ლელას პირადობის მოწმობები აღმოაჩნდათო?!

ამ ოთხი ათწლეულის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის საჭესთან ტამანგოებიც ვნახეთ და მათი ეკიპაჟებიც, რომლებმაც ქვეყანა უაზროდ ატარეს აბობოქრებული პოლიტიკის ოკეანეში და ნავსაყუდელი ჯერაც ვერსად დალანდეს, ხომალდის ეკიპაჟი კი უკვე განახევრებულია!

* * *

სიმართლე ან არის, ან არ არის! ნახევარი სიმართლე სიცრუეზე უარესია და როდესაც გემის კაპიტანი ბობოქარ ზღვაში შედის, სუპერკრეისერით კი არა, არამედ აფრიანი გემით, ნავიგაციის ვირტუოზულად მცოდნე უნდა იყოს და არა ნახევრად მცოდნე, რომელიც ვეღარასოდეს მიადგება ნაპირს.

არა მგონია, ჩვენი ხელისუფლება პოლიტიკური ნავიგაციის უცოდინარი იყოს. ამიტომ ხალხს უნდა უთხრათ სიმართლე, რაც პოლიტიკური ნავიგაციის ერთ-ერთი საკვანძო მოთხოვნაა, თორემ...

* * *

დავით აღმაშენებელს დიდგორის ბრძოლაში ოთხჯერ ნაკლები ჯარი ჰყავდა. ეს კი არ დაუმალავს თავისი ლაშქრისათვის, არამედ ასე მიმართა მას (თანამედროვე ქართულით გეტყვით): „ქრისტეს მხედრებო! ჩვენს წინააღმდეგ ეშმაკეულთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი დგას და ჩვენს მამულს ემუქრება, ღვთის რწმენას თუ განვიმტკიცებთ, თვით ეშმაკსაც ადვილად დავამარცხებთ!"

ასეც მოხდა, ის რომ ეთქვა დიდ მეფეს, ამ ბრძოლას მოვიგებთ, თუ ზურგის ქარი დაჰბერავს, ან ილღაზს კუჭი აეშლებაო, – არა მგონია, ,,ძლევაი საკვირველი" მომხდარიყო.

ახლა ბევრია ქვეყნის მართვის მოწადინე ჩვენში, მათ შორის ტამანგოებიც არიან, მაგრამ იშვიათად, ბევრნი კი ისინი არიან, რომლებსაც ქვეყანაც ფეხებზე ჰკიდიათ, იდეები და პრინციპები, სათოფეზე რომ არ გაუკარებიათ და სადაც საჩხუბარი და საომარია, იმ ადგილს კურდღელივით უფრთხიან, დიდი გული მხოლოდ იქ აქვთ, სადაც მათ თავხედობას (რაც, მართლაც, არ აკლიათ) პასუხს არავინ, თუ ვერავინ გასცემს.

ცოტა ძნელი კი არის ამ ,,პოლიტიკურ" ბაკქანალიაში გარკვევა, რადგან ზოგიერთი პარტიის შტატიან ,,კაჭკაჭს" ისეთი ენა აქვს, რომ მისთვის უსაფრთხო გარემოში შეუძლია ლეგენდარულ ამირანად წარმოადგინოს თავი და ბაყბაყ დევების გამანადგურებელი ეგონოს ხალხი.

* * *

ამომრჩეველს ვურჩევ, რომ იმაზე კი არ გაამეცადინოს ყურადღება, რა ძალას იჩემებს ესა თუ ის პარტია, ანუ ვის და რის დამარცხებას აპირებს, არამედ იმაზე, თუ რა პროცესების მართვა შეუძლია და როგორ, რისი აშენება – გაკეთება აქვს მიზნად და საით და როგორ უნდა წაიყვანოს ეროვნული ხომალდი, რითი და როგორ გაარჩიოს მტერი და მოყვარე, კარგად იცოდეს, რაში მდგომარეობს ქართველთა ძალა და სისუსტე, რა არის ეროვნული ერთიანობის დვრიტა და საფუძველი.



დავით აღმაშენებელს დიდგორის ბრძოლაში ოთხჯერ ნაკლები ჯარი ჰყავდა. ეს კი არ დაუმალავს თავისი ლაშქრისათვის, არამედ ასე მიმართა მას (თანამედროვე ქართულით გეტყვით): ,,ქრისტეს მხედრებო! ჩვენ წინააღმდეგ ეშმაკეულთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი დგას და ჩვენს მამულს ემუქრება, ღვთის რწმენას თუ განვიმტკიცებთ, თვით ეშმაკსაც აღვილად დავამარცხებთ!

აი, ამას თუ გაარკვევს ამომრჩეველი, მაშინ გააკეთებს სწორ არჩევანს. შემეცნების ღვთიური უნარი უნდა აამოქმედოთო, ძვირფასო თანამემამულეებო და არა მხოლოდ ყური და თვალი, რადგან შემეცნების უნარის, ანუ გონიერების გარეშე ორივე მაცდურია: თვალს მრჭყვიალა ჰგონია კარგი, ყურს კი – კეთილხმოვანება.

როგორ შეიძლება, შეცდეს მთელი ხალხი, ანუ როგორ შეიძლება მცდარი არჩევანი, ბრძნული მიგნება ეგონოს, ამის ისტორიული მაგალითია დღევანდელი უკრაინა.

პრეზიდენტად ზელენსკის რომ ირჩევდნენ, რომელიც მანამდე არც ტამანგო იყო და არც ტარას ბულბა, ერთი უბედური, უსამშობლო კლოუნი იყო, ხალხს კი გმირად ეჩვენებოდა, მისი პარტიის პროგრამით რომ გაეცნო ხალხს, მიმხდარიყვნენ იქნებ, რა სამოთხესაც უმზადებდა იგი თავის ამომრჩეველებს.

პარტიის პროგრამის მიხედვით უნდა შეაფასოთ პოლიტიკური პარტია, თორემ ლამაზი სადღეგრძელოებით შეიძლება მთვრალი ან დასათბობად გამზადებული ხალხი მოხიბლოს მხოლოდ, პახმელიაზე რომ აღარავის შერჩება ხიბლი.

პოლიტიკური ,,პახმელია" მძიმეა, იმედგაცრუება იცის და იმიტომ... არჩევნების შემდეგ ხელისუფლება მუდმივად უნდა აკონტროლოს ხალხმა იმიტომ, რომ,არ დაუშვას მათივე პროგრამიდან გადახვევა. პროგრამა პარტიის მოქმედების შინაარსია და არა დაპირება, რომლის შესრულება, ძირითადად, სხვადასხვა გარემოებებზეა დამოკიდებული. აქ ვერავინ იტყვის, პარტიის პროგრამის განხორციელებას ახლა ვერ ვახერხებთ და სამომავლოდ სადავეები არ უნდა განდოთ, თორემ ქვეყნის მტრებთან ბრძოლაში ისინი შეუცვლელნი არიან, ამიტომ ხელისუფლებაში უნდა მოვიყვანოთ ისეთი ადამიანები, რომლებმაც პოლიტიკური ნავიგაციაც კარგად იცნიან და სამშობლოს უანგარო სიყვარულიც და თავდადებაც შეუძლიათ, თორემ მხდალი ხელისუფლება მამაც ქვეშევრდომებს ორგანულად ვერ იტანს, რადგან ეშინიათ მათი, ე, მანდ, ხელისუფლება არ გამომგლიჯონ ხელიდანო! მხოლოდ მხდალს ეშინია ხელისუფლების დაკარგვისა, სამშობლოს დაკარგვაზე მეტად.

პრეზიდენტად ზელენსკის რომ ირჩევდნენ, რომელიც მანამდე არც ტამანგო იყო და არც ტარას ბულბა, ერთი უბედური, უსამშობლო კლოუნი იყო, ხალხს კი გმირად ეჩვენებოდა, მისი პარტიის პროგრამით რომ გაეცნო ხალხს, მიმხდარიყვნენ იქნებ, რა სამოთხესაც უმზადებდა იგი თავის ამომრჩეველებს.

ის, რაც ამ გაკვეთილით მინდოდა მეთქვა თქვენთვის, ხუთი თითივით იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა, ვინც ისტორიის ქარტეხილებში გამოატარა ჩვენი ქვეყანა და მოიყვანა დღემდე, იმ დღემდე, როცა მამაცი მონღოლების ლაშქარი კი არ გვემუქრება, ვისთანაც ვაუკაცობაც ფასდებოდა მტრისა და მისი თავდადებაც სამშობლოსადმი, არამედ სატანის მიმდევარი ლგბტ თემები, რომლებმაც არც სამშობლო იციან, არც ეროვნული ღირებულებანი, არც ოჯახი და არც მეგობარ-ამხანაგი. მათ მხოლოდ იმ მოთხოვნილებისათვის თავდადება იციან, რომელიც ტვინსა და გულში კი არ აღმოცენდება, არამედ უკანალში! ამიტომ, ამომრჩევლობა ძალიან მნიშვნელოვანი მოვალეობაა.

კარგი ამომრჩევლის გარეშე არ არის კარგი ხელისუფლება, კარგი ხელისუფლების გარეშე არ არის კარგი სახელმწიფო!

ზურაბ ცუცქირიძე,

პედაგოგიკის დოქტორი, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი, ჰუმანური პედაგოგიკის რაინდი, დიმიტრი ყიფიანის მედლის მფლობელი.
ტელ: 555 56-75-37

P.S. ერთ კაცს აეკვიატა მამლის შიში: გარეთ აღარ გადიოდა, მამალი გადამყლაპავსო. როგორ თუ გადაგყლაპავსო, ჰკითხეს. ხორბლის მარცვალი ვარ და იმიტომო. წაიყვანეს ის კაცი ფსიქიატრიულ კლინიკაში, დაუწყეს ჩაგონება, რომ შენ ხორბლის მარცვალი კი არა, კაცი ხარო. ერთი თვის შემდეგ კონსილიუმი გაიმართა იმის დასადგენად, გამოჯანმრთელდა თუ არა პაციენტი, გამოკითხვით დადგინდა, რომ პაციენტმა დაიჯერა, რომ იგი ადამიანია და არა ხორბლის მარცვალი, ამის შემდეგ ,,გამოჯანმრთელებულ" პაციენტს ერთმა ექიმმა ხუმრობით ჰკითხა: ახლა ხომ აღარ გეშინია მამლისო. მეშინიაო, - პაციენტმა. კი, მაგრამ შენ ხომ დაიჯერე, რომ ადამიანი ხარო? გაუკვირდა ექიმს. – მე კი ვიცი, ექიმო, მაგრამ მამალმა ხომ არ იცის ესო!

ამომრჩევლებს ვურჩევ: ამგვარად გამოჯანმრთელებულ პოლიტიკოსებს ნუ აირჩევენ ხელისუფლებაში.

ზ. ც.

გალაკტიონის „ზღვის ეფემერას" გაგებისთვის

გალაკტიონის პოეზიის მოყვარულთ უთუოდ ახსოვთ მისი მშვენიერი ლექსი „ზღვის ეფემერა", რომელიც პოეტს 1916 წელს შეუქმნია. ვისაც არ ახსოვს, შევახსენებ, რომ ამ გობოქარ ლექსში გალაკტიონი უმღერის სიკვდილთან მებრძოლ მეზღვაურთა სიმამაცეს, რომელთაც გაცოფებული ზღვა შთანთქავს. მათი გემი ატარებს „იმედის" სახელს, რომელიც მეზღვაურებთან ერთად იძირება.

„ვიმღეროთ ჰიმნი
მეზღვაურთა და მოგზაურთა
ისმოდეს გრგვინვა,
ისმოდეს ზარი,
რომ იღუპება გემი „იმედი".

აქ სიტყვა „იმედს" აშკარად სხვა დატვირთვა აქვს, ის სიკვდილზე მიმანიშნებელია, რადგანაც პოეტი ამბობს:

„უკანასკნელად მოვიგონებთ
სამშობლო მხარეს.
მაგრამ სამშობლო არასოდეს
ჩვენ არ გვქონია,

* * *

ჩვენი სამშობლო
იმედია.
ჩვენ მასთან ერთად
ვიღუპებით".

თუკი იმედი აუცილებლად მომავალზეა მიმართული, ჩავსვათ მის ნაცვლად სიტყვა მოლოდინი, ხოლო მოლოდინი კარგიც შეიძლება იყოს და ცუდიც. და აი, პოეტი თავის „იმედში" აშკარად კარგ მომავალს გულისხმობს, იმედს, როგორც სამშობლოს, როგორც უკანასკნელ თავშესაფარს და, ეს „სამშობლო", ეს კარგი „იმედი", მასთან ერთად იღუპება.

ამგვარად, იმედი, ადამიანის მომავალზე მიმართება, შეიძლება, სამი თვალსაზრისით იყოს განხილული: როგორც ილუზორული ვარაუდი; როგორც რაციონალური ვარაუდი; როგორც ექზისტენციური მომავლის რწმენა.

დიალოგ „ფილებოსში" პლატონი აღქმას განიხილავს აწმყოსთან დამოკიდებულებაში, მეხსიერებას – წარსულთან დამოკიდებულებაში, ხოლო იმედს – მომავალთან დამოკიდებულებაში (**Platon, Phileb**. 33c-34; 39a-41b). მხოლოდ „უმაღლეს სიკეთეს" და ეროსს აქვთ „უდიდესი იმედების" უფლება" (**Symp**. 193d). ეს იმედები პლატონისათვის სიკვდილის მიღმა ვრცელდება. ჭეშმარიტების მოყვარული ადამიანი სიკვდილის წინაშე შიშის გარეშე და „კეთილი იმედებით აღსავსეა", რადგან სული მხოლოდ იდეების სამყაროში აღწევს ჭეშმარიტების ჭვრეტასა და ჭეშმარიტ სიკეთეს (**Phaidon** 64a; 67b-68b; **Apol**. 40c-41c).

ახალ იმპულსს ღებულობს იმედზე ფიქრი ქრისტიანობის აღმოცენებითა და გავრცელებით. და, სწორედ აქ ჩანს, გალაკტიონის ლექსში, რომ მეზღვაურთა მთელი იმედები, მათი ტკბობა „დალეწილი ცით" და „უცხო ქალაქების ხილვით ზღვის ნაპირებზე" წარმავალია, ამქვეყნიურია და სიკვდილს ემონება. მეზღვაურთა თვალებით აქ უკვე პოეტი იმზირება, რომლისთვისაც წარმავალი სიცოცხლე მოსპობის ღირსია.

„შეხედეთ!
გემი აივსო წყალით...
სალიუტი!
სალიუტი!
სალიუტი!"

ვიქტორ რცხილაძე

მასალები შუა საუკუნეების ქართულ-ევროპული კულტურული ურთიერთობების შესასწავლად

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში, თეოლოგიის ფაკულტეტის ორგანიზებით, ბექა ჭიჭინაძის წიგნის – „მასალები შუა საუკუნეების ქართულ-ევროპული კულტურული ურთიერთობების შესასწავლად" – პრეზენტაცია გაიმართა.

ორგანიზატორების ინფორმაციით, წიგნი აერთიანებს რამდენიმე უცნობ და ნაკლებად ცნობილ წყაროს შუა საუკუნეების ქართულ-ევროპული კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ. მათ შორის გამორჩეულია თბილისელი დომინიკელების წერილი კონსტანტინეპოლელ დომინიკელებს გიორგი მთაწმინდელის შესახებ, რომელიც შეიცავს ორიგინალური ქართული ჰაგიოგრაფიული ტექსტის – გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების ფრაგმენტის ლათინურ თარგმანს (1240-იანი წლები).

კულტურული ურთიერთობების შესასწავლად წყაროები ევროპულ ისტორიოგრაფიაშიც კი დეფიციტურია, ამიტომაც წიგნში წარმოდგენილი პირველწყაროები, რომელთაც ავტორის თარგმანებიც ერთვის, მეტად მაღალი მეცნიერული და სახელმწიფოებრივი ღირებულების მატარებელია.

წიგნის პრეზენტაცია

,,მასალები შუა საუკუნეების ქართულ-ევროპული კულტურული ურთიერთობების შესასწავლად"

ბექა ჭიჭინაძე

9 სექტემბერი
19:00

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი | კ. ყუთათელაძის 3

თეოლოგიის ფაკულტეტი
სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი



მიშა იაშვილი — 70

მიშას რომ შესძლებოდა, მთელ დედამიწაზე გაშლიდა საკუთარი ნახატების გამოფენას!

მე-20 საუკუნის მიწურულს ასპარეზზე გამოვიდა გამომსახველობითი ფორმებით უაღრესად თვითმყოფადი, დღეს 80-იანელებად ცნობილი უნიჭიერეს ახალგაზრდა შემოქმედთა მთელი პლეადა, რომელთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის მიშა იაშვილის ფერწერულ ნამუშევართა საიუბილეო გამოფენას მასპინძლობს ამ დღეებში დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული (ცისფერი) გალერეა.

გამოფენის გახსნისას ვერნისაჟის სტუმრებს, მხატვრის კოლეგებსა და პირად მეგობრებს სიტყვით მიმართა მხატვრის მეუღლემ, ქალბატონმა **ნანა იაშვილმა.** მან უდიდესი მადლიერებით მოიხსენია საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო, რომელმაც ფასდაუდებელი დახმარება გაუწია მიშა იაშვილის ოჯახს, მის შვილებს გამოფენის უმაღლეს დონეზე მოწყობის საქმეში. ქალბატონმა ნანამ განსაკუთრებით აღნიშნა მინისტრის, ქალბატონ თეა წულუკიანის პირადი წვლილი, რომელმაც საორგანიზაციო საკითხების უმოკლეს ვადაში გადაწყვეტას შეუწყო ხელი, ხაზი გაუსვა მის ღვაწლს მხატვრის ექვსი ნამუშევრის გერმანიიდან საქართველოში დაბრუნების საქმეში, რომლებიც წლების მანძილზე იქ იყო დაცული.

უდიდესი მადლიერება გამოხატა ქალბატონმა ნანამ გამოფენის კურატორის თამარ ლორთქიფანიძის, სამინისტროს სათანადო კომიიის წევრების, აგრეთვე მისი კოლეგა ოთხმოციანელთა მიმართ, რომელთა მოგონებებიც დაისტამბა კატალოგში.

მიშა იაშვილის ნამუშევართა გამოფენის გახსნაზე, რომელიც ცისფერ გალერეაში 15 სექტემბრამდე გასტანს და რომელსაც უამრავი მისი ახლობელ-მეგობარი დაესწრო, ძალიან ბევრი თბილი სიტყვა ითქვა არა მხოლოდ მხატვრის უზადო ნიჭის შესახებ, რაზეც ყველაზე უკეთ თავად მისი ტილოები და კოლაჟები მეტყველებენ, არამედ უშუალოდ მის პიროვნებაზე, ღირსეულ მამულიშვილობაზე, ტრადიციულ ეროვნული ფასეულობებისადმი, ოჯახისა და მეგობარ-კოლეგებისადმი ერთგულებაზე, ერთი შეხედვით, შემოქმედის გამოულევ ენერგიაზე, რომელიც ყველა სასიკეთო საქმეს სწვდებოდა. სამწუხაროდ, ასე არ ყოფილა – სულიერი ძალებისა და შემოქმედებითი პოტენციალის გაფურჩქვნის ულამაზეს ხანაში, როცა ოჯახითაც უნდა ეხარა, საკუთარი წარმატებითაც და ქვეყნის წინსვლითაც, სულ რაღაც 58 წლის ასაკში სათუთმა გულმა უმტყუნა.

ახლა კი იგი 70 წლისა შესრულებოდა...

წეღან მიშა იაშვილის უშრეტი ენერგია ვახსენე, რის შემსწრე თავადაც არაერთხელ ვყოფილვარ: სიხარულის, ერთმანეთის მოფერების, გულში ჩახუტებისა და შემოქმედებითი მეგობრობის ფოიერვერკი თავად ჩვენი გაცნობის დღიდანვე დაიწყო, რომელსაც ასევე ჩემს აწ განსვენებულ მეორე მეგობარს რეზო (ტუკია) მილორავას დღემდე ვუმადლი. ერთ დღეს, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ, ჭეშმარიტად „სტუდენტურ შუადღისას“, მოულოდნელად ყველანი მონუსხულებივით ადგილზე „გავიყინეთ“: საიდანღაც არღნის ხმა შემოგვესმა. ჯერ ვიფიქრეთ, მოგვეჩვენაო, მაგრამ ამდენ ხალხს ერთად?! მერე წინ „უაზიკი“ გაჩერდა, კარი გაიღო და ტუკიამ ხელი დამიქნია – დროზე შემოხტიო. მეც ბევრი არ მიფიქრია, მანქანაში ვისკუპე და გამორჩეული გარეგნობის ახალგაზრდის პირისპირ აღმოვჩნდი, რომელიც ხალისიანად ატრიალებდა ნამდვილ არღანს. იმ მანქანით მერე მიშას უბანში, სოლოლაკში ავედით, სადაც კოჯრის გზის დასაწყისში, მარჯვენა მხარეს, ახლაც არის მშვენიერი წყარო და მისი საამო აკომპანემენტის რაკრაკში მამაპაპურად ვიქეიფეთ არღნის თანხლებით. ყველაზე გასაოცარი კი მაინც ის იყო, რომ ჩვენი დიდებული თამადის მიერ მოპატიჟებულ სუფრასთან, ფაქტობრივად, იმ დროში თბილისიდან ყველა გამსვლელი თუ შემომსვლელი თითო ჭიქით მაინც დაილოცა და ლუკმაც გატეხა.

არაერთი სახელდახელო გამოფენა მას ძველი თბილისის საქვეყნოდ ცნობილ ეზოებშიც კი მოუწყვია!

როგორ გაწვდა ეს ბიჭი მაშინ ყველას მასპინძლობას, დიდხანს გვიკვირდა მერე მე და ტუკიას...

მისივე ენერგიულობისა და დაუზარებლობის წყალობით, ქალაქში, მეიდანში, მხატვართა კლუბებისთვის „ფიროსმანისთვის“ ადგილიც გამოინახა და მისი პრეზიდენტობის ტვირთის ზიდვაც თავადვე იკისრა, მაგრამ ვითომდა „ქალაქისა და ქვეყნის ინტერესების“ მოტივით მერე ის თავშესაფარი ჩინოსნებმა მხატვრებს წაართვეს...

მიშა იაშვილის მოქალაქეობრივ, მამულიშვილურ პოზიციაზე მისი სიცოცხლის ბოლო წლებში საქართველოს არაერთ მხარეში ოთხმოციანელებად წოდებული ახალგაზრდა მხატვრების მოწყობილი გამოფენებიც მოწმობს. ის ხალხი თავისი ერთგული მეუღლის, ქალბატონ ნანას გვერდში დგომით და ხელშეწყობით, თითქმის მთლიანად საკუთარი ხარჯით დაჰყავდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, სადაც ნამუშევრების გამოფენის მოწყობის საშუალება იყო, ისინი კი, გამოფენების დახურვის შემდეგ თითო საკუთარ ნამუშევარს ადგილობრივ მუზეუმებს ჩუქნიდნენ. ამდენად, საქართველოს არაერთი ქალაქის სამხარეო მუზეუმში თუ შორეული სოფლის კულტურის სახლში, მეოცე საუკუნის ოთხმოციანელთა თაობის მხატვართა იმდენი ნახატია, რამდენსაც თბილისის ბევრი მუზეუმი ვერ დაიტრაბახებს, და ეს, პირველ ყოვლისა, მიშა იაშვილისა და, ცხადია, თავად მხატვართა მადლია.

„ქალის პორტრეტი“

აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნო ისიც, რომ არაერთი სახელდახელო გამოფენა მას ძველი თბილისის საქვეყნოდ ცნობილ ეზოებშიც კი მოუწყვია!

სხვათა შორის, მიშა იაშვილი 160-ზე მეტი სამხატვრო გამოფენის მონაწილეა, როგორც სსრ კავშირსა და სამშობლოში, ისე უცხოეთში – გერმანიაში, იტალიაში, უნგრეთში, პოლონეთში, იაპონიაში, ნორვეგიაში, საფრანგეთში, ეგვიპტეში, შვეიცარიაში, მალტაში, რომელთაგან 16 პერსონალური იყო. 2012 წლის შემოდგომაზე მისი გარდაცვალების შემდეგ ახლანდელი გამოფენა რიგით მეორეა.

ამიტომაც სულაც არ არის გასაკვირი, რომ მიშა იაშვილის არაერთი ნამუშევარი ინახება ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, ჩინეთის, ვიეტნამის, მალტის, იტალიის, ნორვეგიის, რუსეთის, თურქეთისა



ნატურმორტი

„იაშვილების ოჯახი“

„კოლაჟი (სოლოლაკი")

და კიდევ მრავალი ქვეყნის სახელმწიფო თუ კერძო კოლექციებში.

ამდენად, მიშა იაშვილის ვირტუალური საგამოფენო დარბაზი, კაცთა მოდგმით დასახელებული ოთხი კონტინენტიდან, სულ მცირე სამია, ამიტომაც, ვფიქრობ, რომ სავსებით შეესაბამება სიმართლეს ვერნისაჟის გახსნაზე მისი მისამართით ნათქვამი ფრაზა: „მიშას რომ შესძლებოდა, მთელ დედამიწაზე გაშლიდა გამოფენას!"

შემოქმედების მოყვარული, უსამართლობისადმი შეურიგებელი, ჭეშმარიტად

„კოლაჟი"

დონკიხოტური მისწრაფების მოუსვენარი პერსონა, ამაყი სულის მქონე მიშა იაშვილს, ვფიქრობ, გენეტიკურად დაჰყვა ეს თვისებები: მამამისი, ნოდარ (კუკუნა) იაშვილი თავად ტრაგიკული ბედის მქონე დიდი პაოლო იაშვილის ძმისშვილი, მთლად ჭაბუკი – 16 წლისა! – ჯალათმა კომუნისტებმა მარტო გვარიშვილობის გამო გააციმბირეს, სადაც მან უმშვენიერესი უკრაინელი ექიმი ქალბატონი მარიკა გაიცნო და შეიყვარა. მიშაც ციმბირის უკიდეგანო სივრცეებში ჩაკარგულ ტასეევოში დაიბადა, რაც სულ მუდამ ახსოვდა. მხატვრობის უზადო ნიჭიკი, იქნებ, დედისგან გამოჰყვა, რომელიც თავადაც შესანიშნავ ტილოებს ჰქმნიდა.

სიცოცხლის ბოლო დღეებამდე მიშა იაშვილი გამოხატვის ახალ გზებზე ფიქრობდა.

ამ გამოფენაზე წარმოდგენილია მისი შემოქმედების თითქმის მთელი პალიტრა, მათ შორის, ცნობილი „ტილო – კეცების" მისეულ სტილში შესრულებული ნამუშევრები, მეტად ორიგინალური კოლაჟები.

დამეთანხმებით, ნიჭიერი მხატვრის, მით უმეტეს, უძვირფასესი მეგობრის შემოქმედების სიტყვებით აღწერა მთლად შეუძლებელი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ერთობ მძიმე საქმე და რთული ამოცანაა. ამიტომაც, თუკი დროს გამონახავთ, ძვირფასო მკითხველო, გირჩევთ, თავად ეწვიოთ ამ დღეებში ცისფერ გალერეას!

ოთარ ტურაბელიძე

სამი „საუკეთესო მუზეუმელი"

მუზეუმელთა ალიანსმა მესამე ყრილობაზე, რომელიც შალვა ამირანაშვილის იუბილეს მიეძღვნა, ტრადიციულად საუკეთესო მუზეუმელები დააჯილდოვა.

ღონისძიებას საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი, მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ აზნაურაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, საქართველოს ხელოვნების სასახლის დირექტორი გიორგი კალანდია, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორის პირველი მოადგილე, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი ნიკა ახალბედაშვილი, აკადემიკოსი ვალერი ასათიანი, საქართველოს მუზეუმელთა ალიანსის წევრები და დელეგატები ესწრებოდნენ.

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, ასამბლეაში, რომელსაც გიორგი ჩიტაიას სახელობის თბილისის ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა უმასპინძლა, საქართველოს 200 მუზეუმის 500-ამდე თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ მესამე ასამბლეაზე თანამშრომლები გახლდნენ როგორც კულტურის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი, ისე რეგიონული და კერძო მუზეუმებიდან.

„ღონისძიებაზე საზეიმოდ გამოვლინდა სამი „საუკეთესო მუზეუმელი", რომელთაც კულტურის სამინისტროს მიერ 2022 წელს დაფუძნებული უწყებრივი ჯილდო გადაეცათ. ვერცხლის სამკერდე ნიშანთან ერთად საუკეთესო მუზეუმელებს გადაეცათ ფულადი ჯილდოც. 2024 წლის საუკეთესო მუზეუმელები არიან:

თინათინ სოსანიძე – სერგი მაკალათიას სახელობის ისტორიული ეთნოგრაფიული მუზეუმის ძვირფასეულის სექტორის კურატორი, მრჩეველ-კონსულტანტი;

როლანდ ისაპაძე – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი;

ჯუმბერ პოპალიანი – დმანისის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის მმართველი.

საქართველოს კულტურის მინისტრმა თეა წულუკიანმა ასამბლეაზე შეკრებილებს მიმართა, შეაჯამა სამუზეუმო წელი, ისაუბრა მიმდინარე და სამომავლო პროექტებზე.

აღსანიშნავია, რომ ღონისძიების ფარგლებში შალვა ამირანაშვილის იუბილესადმი მიძღვნილი ფილმის და ეთნოგრაფიული მუზეუმში განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტებისა და ღონისძიებების ამსახველი ჩვენება გაიმართა. ცერემონია საზეიმოდ ეთნოგრაფიული მუზეუმის ანსამბლების – „დიდგორისა" და სამეფო ნაციონალურ ბალეტ „ფოცხიშვილების" – კონცერტით დაიხურა.

როგორც მოგეხსენებათ, კულტურის სამინისტროს უწყებრივი ჯილდო – „საუკეთესო მუზეუმელი" თეა წულუკიანმა 2022 წლის 18 მაისს მუზეუმების საერთაშორისო დღის აღსანიშნავად დააფუძნა. ინიციატივა სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის პირველ მოადგილეს ნიკა ახალბედაშვილს, სსიპ ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმის დირექტორ გიორგი კალანდიასა და გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორ ნინო ჭიპაშვილს ეკუთვნით.

აღსანიშნავია, რომ 2022 წლის ნოემბრიდან საქართველოს კულტურის მინისტრის ინიციატივით „მუზეუმელთა ალიანსის" გარათის ყველა მფლობელს შესაძლებლობა აქვს, უფასოდ ესტუმროს კულტურის სამინისტროს სისტემის ყველა მუზეუმს.

სახალხო დღესასწაული „ონელობა – 2024"

ონის მუნიციპალიტეტმა საზეიმოდ აღნიშნა სახალხო დღესასწაული „ონელობა- 2024". ამ დღეს ონმა უამრავ სტუმარს უმასპინძლა. ამის შესახებ ინფორმაციას ონის მერია ავრცელებს.

წლევანდელი ონელობის თემატური ქარგა ვიგა ჯაფარიძე და მისი საუკუნოვანი იუბილეა.

სახალხო დღესასწაულის ფარგლებში დაგეგმილი იყო არაერთი კულტურული, შემეცნებითი და გასართობი ღონისძიება.

ქალაქის ცენტრის მიმართულებით მოეწყო თეატრალიზებული მსვლელობა.

„ონელობა 2024" – ის ოფიციალური ნაწილი ონის მუნიციპალიტეტის მერის **სერგი ხიდეშელის** მისასალმებელი სიტყვით გაიხსნა. სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, გასცნობოდნენ ოთხი მუნიციპალიტეტის ეთნოგრაფიულ ნიმუშებს, ფოლკლორს და კულინარიას.

მოეწყო ონის, ამბროლაურის, ლენტეხის და ცაგერის მუნიციპალიტეტების არამატერიალური და მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების დათვალიერება.

სახალხო დღესასწაულზე ონის მუნიციპალიტეტს ბულგარეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში – **ვესელინ ვალკანოვი** მოადგილესთან ერთად სტუმრობდა, ქალაქ ონში ასევე იმყოფებოდნენ დამეგობრებული პოლონეთის რესპუბლიკის და ისრაელის დელეგაციები. საპატიო სტუმრებს შორის იმყოფებოდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, **მზია გიორგოზიანი.**

რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა **გოჩა ენუქიძემ** რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დააჯილდოვეს 2024 წლის საპატიო და ღვაწლმოსილი ონელები.

ონის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდიატებს გადაეცა დიპლომები. სახალხო ზეიმი „ონელობა – 2024" გალა კონცერტით გაგრძელდა.

კონცერტში მონაწილეობდნენ ანსამბლი **„თეატრალური კვარტეტი", გელა დონაძე და ანუკი ცქვიტინიძე.**

ღონისძიება საზეიმო ფოიერვერკით დასრულდა. პირველად ღონისძიება მოკრძალებულად 2008 წელს ჩატარდა სახელწოდებით „ ონი და ონელები". მას შემდეგ დღესასწაული ყოველწლიურად იხვეწება, მასშტაბურ სახეს იღებს.

◎ მოვლენის შემდეგ

უკეთ, ვიდრე წარსულში

PARIS 2024
PARALYMPIC GAMES

წესით და რიგით, ჩვენი ოლიმპიური მოძრაობის ტრადიციის თანახმად, სათაურის შერჩევისას წინა თამაშების დედაქალაქი – ტოკიო უნდა დაგვესახელებინა პარალელის გასავლებად, მაგრამ ვინაიდან პარიზის მე-17 პარალიმპიადაზე ქართულმა დელეგაციამ არნახული შედეგი დადო და ერთბაშად 9 მედალი მოიხვეჭა მაშინ, როცა წინა 4 თამაშებზე, რომელშიც აქამდე გამოსულა, ჯამში მხოლოდ 4 ჯილდოთი ვიწონებდით თავს, გამონაკლისს ვუშვებთ და წერილის მოსანათლავად სიტყვას ვცვლით.

რაც შეეხება ფორუმის არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლას, მის მონაწილე 154 ქვეყანას შორის პრიზიორი დაახლოებით ნახევრის წარმომადგენელი გახდა და საფრანგეთის დედაქალაქში გათამაშებული მედლების 549 კომპლექტიდან 9-ის მოპოვებით ჩვენმა ნაკრებმა 51-ე პოზიცია გაიყო ახალზელანდიელებთან ერთად.

ვფიქრობთ, არანაკლებ დაგაინტერესებთ იმ სახელმწიფოთა ნაწილის ჩამონათვალი, რომლებსაც ამჯერად გავუსწარით: ჩეხეთი, ნორვეგია, ირლანდია, სერბეთი, ხორვატეთი, რუმინეთი, სლოვენია, ბულგარეთი, ბოსნია, ავსტრია, ფინეთი, შვედეთი, ლიეტუვა...

რაც შეეხება ელიტას, 220(!) მედლით უდიდესი უპირატესობით გაიმარჯვა ჩინეთმა, წამყვან ოცეულში კი მოხვდნენ დიდი ბრიტანეთი, აშშ, ნიდერლანდები, ბრაზილია, იტალია, უკრაინა, საფრანგეთი, ავსტრალია, იაპონია, გერმანია, კანადა, უზბეკეთი, ირანი, შვეიცარია, პოლონეთი, ესპანეთი, ინდოეთი, კოლუმბია და ბელგია.

◎ თაობა

შანსი გვრჩება

როგორც გახსოვთ, შარშანდელ საშინაო ევროზე ღირსეულად ვითამაშეთ და სიკვდილის ჯგუფის ერთ-ერთი მატჩი მსოფლიო ფეხბურთის გამორჩეულ გრანდთან ნიდერლანდებთან ფრედ – 2:2 დავასრულეთ.

მას შემდეგ, როგორც ახალგაზრდული ნაკრებების ტრადიციადაა დამკვიდრებული, ორივე გუნდი ძირფესვიანად გადახალისდა, თუმცა თუ ნარინჯისფერთა თავკაცი რაიციგერი გახდა, ჯვაროსნებს ისევ რამაზ სვანაძე წვრთნის.

როგორ კონდიციებში არიან მეტოქეები, თავად განსაჯეთ: მასპინძლებმა 9 შეხვედრაში ქულათა მაქსიმუმი მოაგროვეს(!), თანაც ყველას იოლად სძლიეს, მათ შორის ჩვენებს ბათუმში პირველ წრეში – 3:0, ამიტომ, ბუნებრივია, ვენლოში გამართული საპასუხო ბრძოლის წინ ფავორიტებად ნამდვილად არ მივიჩნეოდით, მაგრამ დარწმუნებულნი ვიყავით, რომ სტუმართა დამრიგებელი შესაბამის ტაქტიკას შეარჩევდა საკუთარი პროფესიული ამბიციების დასაკმაყოფილებლად.

მართლაც, რამდენადაც შესაძლებელი იყო შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, ბიჭები ნორმალურად გაუმკლავდნენ უძლიერეს მოწინააღმდეგეს მიუხედავად იმისა, რომ მაღალი სიცხის გამო გამოგვაკლდა დაცვის ბურჯი საზონოვი, რამაც, სხვათა შორის, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა უთანასწორო დუელის ბედი.

დიახ, სამივე ბურთი სწორედ ცენტრალური ზონიდან გავუშვით, ხოლო რამდენჯერმე მეკარე ხარატიშვილმა გვიხსნა. რაც შეეხება ოპტიმიზმს, მის საფუძველს ხვადაგიანის გადაცემით ოთარ მამაგეიშვილის მიერ დიდოსტატურად გატანილი პრესტიჟის გოლი და, რაც მთავარია, ჯგუფის სატურნირო ცხრილი გვაძლევს. დიდი ალბათობით, სანუკვარი და გამსვლელი მეორე ადგილის ბედს 10 ოქტომბერს უშუალო კონკურენტთან შვედეთში დანიშნული ყოფნა-არყოფნის ჯახის შედეგი გადაწყვეტს, რომელთანაც, დიდი უპირატესობის მიუხედავად, შინ ძვირფასი ქულები დავკარგეთ – 0:0. დავძენთ, რომ ბოლო ტურში მაკედონიას მივიღებთ, სკანდინავიელები კი უმოტივაციო ლიდერს ეწვევიან.

◎ ორიოდე სიტყვით

ჯადრაკი

ბუდაპეშტი (უნგრეთი). დღეს იწყება ბრძენთა თამაშის ოსტატთა 45-ე ოლიმპიადა ქალთა 184 და ვაუთა 197 ნაკრების მონაწილეობით (სარეკორდო რაოდენობა). **საქართველოს ქალთა ნაკრები:** ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, ნინო გაციაშვილი, ბელა ხოტენაშვილი, სალომე მელია, კაპიტანი **ვლადიმერ ტუკმაკოვი.** შეგახსენებთ, რომ აქამდე ჯვაროსნებს 4 ოქრო, 2 ვერცხლი და 3 ბრინჯაო აქვთ მოხვეჭილი.

აღსანიშნავია, რომ ტურნირის უმთავრეს ფავორიტს – ჩინეთის გუნდს ოთხ-ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონები ჰოუ იფანი და სიუ ვენძიუნი აკლიათ, უკრაინას – ლიდერი დენი მუზიჩუკები, ინდოეთს – ჰამფი კონერუ, რუსეთი და ბელარუსი კი მოკვეთილნი არიან.

საქართველოს ვაუთა ნაკრები: ბაადურ ჯობავა, მიხეილ მჭედლიშვილი, ნიკოლოზ კაჭარავა, ლევან ფანცულაია, ლუკა პაიჭაძე, კაპიტანი **ზურაბ სტურუა.**

პრიკი

სერბეთი. 42-ე ტრადიციული ახალგაზრდული საერთაშორისო ტურნირი. საქართველოს ნაკრები (მთავარი მწვრთნელი **თემურ ოჩიგავა**) – გუნდური მე-3 ადგილი და 8 მედალი (12 წევრიდან). **ოქრო** – გიორგი ნატროშვილი. **ვერცხლი** – სამველ კაზარიანი, თემურ მორგოშია. **ბრინჯაო** – მიხეილ გვასალია, რაგიმ მამედოვი, დავით მუშკუდიანი, ტიმოთე გვათუა, ნიკიტა ბარამიძე.

გლივიცე (პოლონეთი). გოგონათა საერთაშორისო ტურნირი. საქართველოს ნაკრები (მთავარი მწვრთნელი **გაგა თოდუა**) – 4 წევრი და 3 მედალი.

ოქრო – რაჰიბა ისმაილოვა. **ვერცხლი** – ჰურამან კასუმოვა. **ბრინჯაო** – თათია ბუკია.

ჩოგბურთი

თურქეთი. ვაუთა 82-ათასიანი ჩელენჯერტურნირი. წყვილები. **პირველი ადგილი** – ალექსანდრე ბაქში (საქართველო), იანკი ერელი (თურქეთი).

აშშ-ის ღია პირველობა. ფინალი. ქალები. საბალენკა (ბელარუსი) – პეგულა (აშშ) 2:0 (7:5, 7:5). **ვაუები.** სინერი (იტალია) – ფრიცი (აშშ) 3:0 (6:3, 6:4, 7:5).

უზნეო, გარეწარი ლაშა ბაქრაძე დისციპლინარული გადაცდომის გამო გაათავისუფლეს

კულტურისა და სპორტის სამინისტრომ სსიპ გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის ლაშა ბაქრაძის მიმართ ჩაატარა დისციპლინური წარმოება, რომელიც შეეხებოდა მიმდინარე წლის 3 სექტემბერს ლაშა ბაქრაძის განცხადებას ვასო გოძიაშვილის სახელობის სკვერში გამართულ ღონისძიებაზე.

ფაქტებისა და გარემოებების შესწავლითა და ინფორმაციის ანალიზით დასტურდება, რომ ლაშა ბაქრაძემ ჩაიდინა დისციპლინური გადაცდომა, რაც გულისხმობს ზნეობრივ-ეთიკური ნორმების, ქცევის ზოგადი წესების უგულებელყოფას ან დარღვევას, არაეთიკურ საქციელს ან სხვა ქმედებას, რომელსაც შედეგად მოჰყვა დაწესებულების დისკრედიტაცია, მიუხედავად იმისა სამსახურშია იგი ჩადენილი თუ მის გარეთ. დასკვნის საფუძველზე, ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი ლაშა ბაქრაძე დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა.

დასკვნის თანახმად, ცალსახაა, რომ ლაშა ბაქრაძის 3 სექტემბრის განცხადება ზიანს აყენებს მისი, როგორც ქართული ლიტერატურის მუზეუმის დირექტორის რეპუტაციას და ლახავს იმ მუზეუმის ავტორიტეტს, რომელიც გიორგი ლეონიძის სახელს ატარებს და მისიად ქართული კულტურის ინტერესების დაცვა აქვს განსაზღვრული. ლაშა ბაქრაძის განცხადება ლახავს როგორც ამ განცხადების ადრესატთა, ასევე ქალთა სქესის ნებისმიერი წარმომადგენლის ღირსებას, რითაც სცილდება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს; არის დისკრიმინაციული და ლაშა ბაქრაძის მხრიდან ეს პირველი შემთხვევა არ არის. პროფესიული დისკუსიების დროსაც კი ის გამოირჩევა მისთვის სხვა მხრივ მიუღებელი ქალების მიმართ სექსისტური განცხადებებით და ინტელექტუალიზმით შეფუთული უდიერი დამოკიდებულებით.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ლაშა ბაქრაძე 5 სექტემბერს კულტურისა და სპორტის სამინისტროში იმყოფებოდა, სადაც მან ახსნა-განმარტებით ბარათში აღნიშნა, რომ „არასწორი სიტყვა“ გამოიყენა.

ახსნა-განმარტების მიცემისას გამოირკვა, რომ ლაშა ბაქრაძემ წინა დღით, 4 სექტემბერს, განცხადებით მიმართა მუზეუმის დირექტორს (საკუთარ თავს) და გამოსცა დირექტორის ბრძანება N50, რომლითაც საკუთარი თავი შვებულებაში გაუშვა 5 ოქტომბრის ჩათვლით.

შესაბამისად, დღეს გამოცემული ბრძანების თანახმად, ლაშა ბაქრაძე დირექტორის თანამდებობას აღარ დაიკავებს 6 ოქტომბრიდან.

ასპინძაში ორ ადამიანს მეხი დაეცა

ადგილობრივების ინფორმაციით, გუშინ მეხის ჩამოვარდნის დროს ორივე პიროვნება სოფელ ოთასთან ტყეში იმყოფებოდა.

საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ინფორმაციით, ადგილზე მისულ სასწრაფო დახმარების ჯგუფს ერთი გვამი დახვდათ, მეორე კი ახალციხის რეფერალურ ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

სარწყავ არხში 25 წლის ბიჭის გვამი იპოვეს

პახეთში, მდინარე ალაზნის სარწყავ არხში, ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი იპოვეს.

ცხედარი სარწყავი არხის წნორის მიმდებარედ სამაშველომ აღმოაჩინა.

ადგილობრივების ინფორმაციით, 25 წლამდე ასაკის ბიჭი მეგობრებთან ერთად ბანაობდა, რა დროსაც ის ძლიერმა დინებამ გაიტაცა.

ცხედარი გურჯაანში სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროშია გადასვენებული.

გაქცევა პორტუგალიის ციხიდან

პორტუგალიაში ერთ-ერთი ციხიდან ხუთი პატიმარი გაიქცა, მათ შორის ერთი ქართველია. მსჯავრდებულები დედაქალაქ ლისაბონიდან 70 კილომეტრში მდებარე ვალე-დე-ჟუდეუსის მკაცრი რეჟიმის საპატიმროდან გაიქცნენ, – ამის შესახებ ინფორმაციას პორტუგალიური მედია ავრცელებს.

პორტუგალიის სასჯელაღსრულების სამსახურის ცნობით, პატიმრები შაბათ დილით კედელზე კიბის საშუალებით გადაძვრნენ, რა დროსაც გარედან მათ დახმარება აღმოუჩინეს.

პორტუგალიის ციხის მცველთა ერთიანი გაერთიანება აცხადებს, რომ გაქცეული პატიმრები უკიდურესად საშიშები არიან. უწყება მოქალაქეებს მოუწოდებს, არ მიუახლოვდნენ მათ. პორტუგალიის პოლიციამ მათ დასაკავებლად საერთაშორისო დახმარება ითხოვა.

დააკავეს შვილიშვილზე სექსუალური ძალადობის ბრალდებით

სამეგრელოს ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში შვილიშვილზე სექსუალური ძალადობის ბრალდებით 66 წლის კაცი დააკავეს. არსებული ინფორმაციით, ბაბუა 9 წლის შვილიშვილზე რამდენიმე თვე ძალადობა. ერთ-ერთი ძალადობის შესახებ ბავშვმა დედას გაუმხილა, რის შემდეგაც მშობლებმა პოლიცია გამოიძახეს.

მოზარდს შესაბამისი ექსპერტიზები უტარდება და მასთან ფსიქოლოგები მუშაობენ.

აიყვანეს ნარკომანები და ნარკორეალიზატორები

ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულის ბრალდებით 14 პირი დააკავეს, მათ შორის 10 ნარკორეალიზატორია, – ამის შესახებ ინფორმაციას შს სამინისტრო ავრცელებს.

დაკავებულებს შორის არიან როგორც საქართველოს, ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეები.

პოლიციამ ნარკოტიკების უკანონო გასაღების ბრალდებით დაკავებული პირებისგან, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელა ნარკოტიკების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეოჩაწერა. სამართალდამცველებმა ნარკოდანაშაულის ბრალდებით დაკავებული პირების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას, ასევე, მათ მიერ მითითებული ლოკაციებიდან სხვადასხვა სახის განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები ამოიღეს.

დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ერთი წელიც გასულა... გაბრო!



წელიწადი მიილია...

ნეკროლოგებში, გახსენებებში, მოგონებებში წერენ – ძალიან რთული, ტკივილითა და ცრემლით სავსე... და მართალიცაა, მაგრამ ჩვენთვის,გაბროს კოლეგებისა და მეგობრებისთვის,ეს წელი მართლაც უცებ, ჩიტივით გაფრინდა, ისე უცებ და მოულოდნელად, როგორც თავად გაგვიფრინდა...

ვიგონებთ?!

ვიგონებთ კი არა, ყოველდღე ჩვენთანაა, ხან ერთი გაიხსენებს, ხან მეორე, ნებისმიერ სიტუაციასა და მომენტს არ ვტოვებთ, რომ არ დავუმატოთ – გაბრო რას იტყოდა, გაბრო როგორ გააფორმებდა და თვალწინ გვიდგას ეშმაკურად მომღიმარი გაბრო, ისეთი სახით, ვერ შეამჩნევდი (თუ კარგად არ იცნობდი) მოსწონდა, დაგცინოდა, გულს გიკეთებდა თუ...

მოსაღამოვებულზე, როდესაც რედაქციაში საქმე თითქმის ბოლოსკენ მიდის, აი მაშინ, თითქმის ყოველ ჩვენგანს ჩაგვესმის – მოგესალმებით! კარს აღებს გაბრო და ამ გაწელილ, პათეტიკურად წარმოთქმულ მო-გე-სალ-მე-ბითში ჩანს სიყვარული, მონატრება, შეკითხვა – აბა, მორჩით ბიჭებო, გაზეთს?

ახლა, ერთი წელია, ჩაგვესმის მისი ხმა, თავად კი ზეციურ საქართველოში განაგრძობს მეგობრობას ჩვენს თანამშრომლებთან **არმაზ სანეგლიძესთან, რუსლან რუსიასთან, გურამ გოგბაშვილთან, ვილენ მარდალეიშვილთან, ვალიკო სიმონიშვილთან, კოია გომართელთან, ოთარ ხუციშვილთან...** ესენი ხომ გაბროს უახლოესი მეგობრები, თანამშრომლები და კოლეგები იყვნენ, ჩვენი რედაქციის ტკივილები, ცრემლები და სახეები, რომლებიც ჩვენს გაბროსთან, გია გაბრიჭიძესთან ერთად ქმნიდნენ თანამედროვე ქართულ ჟურნალისტიკას.

დღეს ერთი წელი გავიდა, გაფრინდა, ზოგიერთისთვის გაიწელა...

ბევრისთვის ტკივილიანია, ბევრისთვის ცრემლიანი, ბევრისთვის სიყვარულითა და სამადლობელით სავსე, რადგან დაგვანახა, თუ როგორი ერთგული და ყველასგან განსხვავებული მეგობარი გვყავდა.

ეს შეუძლია ერთ წელიწადს.... ბევრი წელი კიდევ უფრო დაგვანახებს მის სახეს და ამაყნი ვიქნებით, კიდევ ერთხელ ხმამაღლა ვთქვათ – ჩვენ ასეთი მეგობარი გვყავდა!!!

„საქართველოს რესპუბლიკელები“

ორიოდე ეპიზოდი ასპირანტის ცხოვრებიდან

თერგდალეულთა ბიოგრაფიებს რომ გვასწავლიდნენ სკოლაში, ჩვენზე რას იტყვიან – ნევადალეულნი არიანო? – მკითხა ერთხელ ჩვეული შაყირნარევი ტონით გია გაბრიჭიძემ, რომელსაც უკვე ათწლეულების შემდეგ ჩვენს რედაქციაში შევხვდი, როგორც კოლეგას.

მაშინდელი ლენინგრადის ქართული სტუდენტობა გამორჩეული გახლდათ როგორც რიცხვმრავლობით, ისე ნიჭით, თუმცა სხვა თემაა, თუ ვინ როგორ გამოიყენა უფლისგან მომადლებული ტალანტი.

არდია, გოცაძე, რეხვიაშვილი, პატარიძე და „რენევიჩის“ ბიძაშვილი ნუგზარ („ფომიჩი“) ბოჭორიშვილი – ფიზიკის ფაკულტეტის საერთო საცხოვრებლის აღნიშნულ კოლორიტებს ჩააბარა ჩემი თავი სამეურვეოდ ბავშვობის მეგობარმა, მასპინძელმა დათო კვირკველიძემ, რომელიც პიტერში სამედიცინოზე პედიატრიის საიდუმლოებებს ეუფლებოდა.

სწორედ მორის ტორეზის პოპულარული პროსპექტის 37-ში გავიცანი ასპირანტი „გაბრო“, ჩვენი დამეგობრება კი ცოტა მოგვიანებით მოხდა.

მართალია, მანამდე რამდენჯერმე მოვასწარით ხუთმილიონიანი ქალაქის მასშტაბებით იქვე ახლოს მდებარე „პლოშჩად ვოსსტანიაზე“ და „პლოშჩად მუჟესტვაზე“ გასეირნება, რასაც საკულტო რესტორან „სპუტნიკში“ (ჩვენთვის – „ჯუტაში“) „წახემსებაც“ მოჰყვა, მაგრამ შემდეგმა შემთხვევამ მაინც განსაკუთრებულად დაგვაახლოვა:

30 დეკემბრის საღამოა და ყველა საახალწლო კარნავალისთვის ემზადება, როცა ზაზა პატარიძე აცხადებს – ვინ წამყვება პულკოვოს აეროპორტში, დედაჩემს ქუთაისიდან საშობაო „პრავიზია“ გამოუტნევია პილოტებისთვის და უნდა დავხვდეთო.

საშინელი ამინდის თუ სხვა მიზეზების მოშვებულობით ყველა დაიმანჭა და მხოლოდ მე და „გაბრო“ აღმოვჩნდით თვითმფრინავის ტრაპთან. ბუნებრივია, „ობშჩეჟიტიაში“ დაბრუნებულებმა მამაპაპურად მოვილხინეთ და სამ ხმაში შევფიცეთ ერთმანეთს ძმობა.

სხვათა შორის, ეს იმ ოთახში მოხდა, სადაც ერთი „კოიკა“ ყოველ ჩასვლაზე თავისუფალი მხვდებოდა წლების განმავლობაში, რადგან მისი მფლობელი ტოლიკა გუჩმაზოვი ზამთრის არდადეგებზე ცხინვალში მოფრინავდა და ისე დაინგრა საბჭოთა კავშირი, ერთმანეთი ვერ გავიცანით.

ზემოთ საერო ლენტის გაჭრა ვახსენე და ბარემ იმასაც დავძენ, როგორ არანაკლებ კურიოზულად დაგვაკავშირა ერთმანეთთან ნათელ-მირონმა:

ეს-ესაა წვიმამ გადაიღო, მე და „გაბრო“ ნევსკიზე ლავრასთან ტაქსს ვაჩერებთ, შუქნიშანთან კი „წითელზე“ გაჩერებული მექორწილეთა კორტეჟი დგას, რომელსაც „ანყვეტილი“ ვოლგა უახლოვდება, საბურავით გუბურას მოძებნის და უცებ ნეფე-დედოფალს ტალახიანი წყლის აბაზანით „ალამაზებს“.

როგორც კი მხარეთა შორის განევ-გამოწევა დაიწყო, გია მაშინვე მოვლენათა ეპიცენტრში აღმოჩნდა და არათუ განმუხტა ვითარება, არამედ საბანკეტო დარბაზშიც კი მიგვიპატიჟეს.

ხომ არ გგონიათ, ამით დასრულდა ყველაფერი? მომდევნო წელს ორლოვების კეთილშობილთა გვარის ნორჩი შთამომავალი ისააკის ტაძარში მოგვანათვლინეს და იმ ოჯახთან ჩვენი ვალი ბოლომდე პირნათლად მოვიხადეთ.

დიახ, გია გაბრიჭიძე ყველას, უპირველესად – საკუთარ მრწამსს პირნათელი გამოეთხოვა და უდიდეს ტკივილთან ერთად ცრემლნარევი ტკბილი მოგონებებიც დაგვიტოვა.

გია პლატონიშვილი

განცხადება

საჯარო განხილვის შესახებ

გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა - კასპის მუნიციპალიტეტში შპს „ფემილი ფარმის“ მესაქონლეობის ფერმისა და სამელიორაციო სისტემის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტი

გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 18 ოქტომბერი, 12:00 საათი, კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. კავთისხევის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 6 ნოემბრის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 4 სექტემბერი. განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

განცხადება

საჯარო განხილვის შესახებ

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - ხობის მუნიციპალიტეტში შპს „ბლექ სი პეტროლიუმის“ 110 კვ ძაბვის მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის პროექტი

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 25 სექტემბერი, 15:00 საათი, ხობის მუნიციპალიტეტი, ყულევის ადმინისტრაციული ერთეულის კულტურის სახლის შენობა (მის.: ყულევი, იმედის ქუჩა N180)**

გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით ჩათვლით მისამართზე:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 3 სექტემბერი. განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს სკოპინგის დასკვნას.

შემზარავი სტატისტიკა

გაეროს მონაცემებით, უკრაინაში რუსეთის აგრესიის შედეგად 11 743 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის სამმართველომ (OHCHR) გამოაქვეყნა განახლებული მონაცემები უკრაინაში რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად დაღუპული და დაშავებული სამოქალაქო პირების რაოდენობის შესახებ.

ანგარიშის თანახმად, 2022 წლის 24 თებერვლიდან 2024 წლის აგვისტოს ბოლომდე უკრაინის მშვიდობიან მოსახლეობაში დაჭრილთა რიცხვმა სულ მცირე 24 614 ადამიანი შეადგინა, ხოლო დაღუპულთა რაოდენობამ – 11 743.

„2024 წლის აგვისტოში უკრაინაში, სულ მცირე, 184 მშვიდობიანი მოქალაქე მოკლეს, 856 კი დაიჭრა, რაც ამ თვეს 2024 წელს მსხვერპლის რაოდენობით მეორე ადგილზე აყენებს ივლისის შემდეგ“, – აღნიშნავენ ყოველთვიური ანგარიშის ავტორები.

მათი მონაცემებით, ივლისში, სულ მცირე, 219 სამოქალაქო პირი მოკლეს და კიდევ 1 018 დაიჭრა.

ამავე ანგარიშის მიხედვით, მხოლოდ აგვისტოში რუსეთის თავდასხმების შედეგად დაინგრა 13 და დაზიანდა 38 საგანმანათლებლო დაწესებულება. ასევე, დაინგრა ორი და დაზიანდა 28 სამედიცინო დაწესებულება.

გაეროს მონაცემების თანახმად, რუსეთის სრულმასშტაბიანი ომის დროს უკრაინაში სულ დაიღუპა 5692 მამაკაცი, 3534 ქალი, 338 არასრულწლოვანი ბიჭი და 275 გოგონა. რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპული 28 ბავშვისა და 1876 მოზრდილის სქესის დადგენა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

საქართველოთი ინდოელი გამომცემლები დაინტერესდნენ

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ინდოეთიდან პოპულარული გამოცემის Deccan Herald-ის და ავიაკომპანია Indigo-ს საბორტო ჟურნალის Hello3E-ის წარმომადგენლებს მასპინძლობს.

პრესტურის მონაწილეებმა თბილისი, მცხეთა, წყალტუბო, მარტვილის კანიონი, მესტია, უშგული, სიღნაღი, ლოპოტა და ლაგოდეხის ეროვნული პარკი მოინახულეს. საერთაშორისო მედიის წარმომადგენლები ზუგდიდში გემო ფესტს დაესწრნენ. **Deccan Herald**-ისა და **Indigo**-ს წარმომადგენლები ფესტივალის შესახებ მასალებს მოამზადებენ და მკითხველს ქართულ კულინარიას გააცნობენ.

„ვფიქრობ, საქართველო ულამაზესი ქვეყანაა. ყველაფერი შეგვიყვარდა, რაც ამ დრომდე აქ ვნახეთ. მოგვეცა შანსი, დაგვეგემოვნებინა გასაოცარი კერძები. ვფიქრობ, ინდოელებისთვის საინტერესო იქნება ის ფაქტი, რომ დელიდან საქართველოში მოხვედრა ადვილია პირდაპირი ავიარეისის საშუალებით. საქართველო ძალიან გულღია ქვეყანაა, ხალხი კი სტუმართმოყვარე. ადგილზე უამრავი რამის ნახვა და დაგემოვნებაა შესაძლებელი“, – აცხადებს ტურის მონაწილე ქუნალ ბრათი მოგზაურო ჟურნალისტი ინდოეთიდან.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მოწვევით ჩამოვედით საქართველოში. რამდენიმე დღეა, რაც აქ ვიმყოფებით. ვეწვიეთ ზუგდიდს, სადაც გემო ფესტი იმართება. ადგილზე ძალიან კარგი აურაა, უამრავი ადამიანია შეკრებილი და ფეხბურთის მატჩიც მიმდინარეობს. აქ ისმის სხვადასხვანაირი შეძახილები. გარშემო უამრავი კერძებია, რომელსაც ვაგემოვნებ და აღფრთოვანებული ვრჩები“, – ამბობს ტურის მონაწილე მოგზაური ჟურნალისტი შუბუთი თიო.

ინდოელი ჟურნალისტები საქართველოს სამთო და გამაჯანსაღებელი კურორტების, კულტურის,

კულინარიის, ღვინის, ბუნებისა და სათავგადასავლო ტურიზმის შესახებ სტატიებს მოამზადებენ.

Deccan Herald-ის ბეჭდურ გამოცემას ყოველთვიურად მილიონზე მეტი მკითხველი ჰყავს, ხოლო გამოცემის ონლაინ პლატფორმებს 15 მილიონი ვიზიტორი ჰყავს, სოციალურ ქსელებში დეცცან Herald-ის ვიდეო რგოლებს ჯამურად ას მილიონზე მეტი ნახვა აქვს. ავიაკომპანია ავიაკომპანია Indigo-ს საბორტო ჟურნალს ყოველწლიურად 6.5 მილიონი მგზავრი ეცნობა.

პრესტურის მიზანია ინდოეთიდან საქართველოში ტურისტული ნაკადების მოზიდვა და ინდოეთში საქართველოს ცნობადობის გაზრდა.

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი,

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
რუსუდან ქობულია
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.

ოპერატორი
შორენა გვილია.

დამკაბადონებელი
გიორგი მახარაშვილი.

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
გიორგი ნადარეიშვილი

მისამართი:
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედიასაშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

ლია სტურუას ლექსების კრებულმა პრესტიჟულ კონკურსში გაიმარჯვა

მწერალთა სახლი ულოცავს პოეტ ლია სტურუას თარგმნილი პოეზიის ლიტერატურულ კონკურსში – Sarah Maguire Prize-ში გამარჯვებას.

„ლია სტურუას ლექსების კრებულის ინგლისური თარგმანი **On the Contrary**, რომელიც 2023 წელს დიდ ბრიტანეთში მწერალთა სახლის



ხელშეწყობით გამოიცა, პრესტიჟულ კონკურსში – **Sarah Maguire Prize**-ის გამარჯვებული გახდა“, – აღნიშნულია მწერალთა სახლის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ქართველი მოდელი — ფრანგული ჟურნალის გარეკანზე

ქართველმა მოდელმა საერთაშორისო წარმატებას რამდენიმე წელია მიაღწია. ცოტა ხნის წინ ის შანელის სუნამოს ახალ კამპანიაში გამოჩნდა, იქამდე კი, 2022 წლის ოქტომბერში ქართველი მოდელი პარიზის მოდის კვირეულზე **CHANEL**-ის შოუზე გამოვიდა. ამავე კვირეულის ფარგლებში მატილდამ **Rokh**-ის ჩვენებაც გახსნა. ის **Models.com**-ის ტოპ 50 ახალგაზრდა მოდელს შორისაც დასახელდა.

ილონ მასკი მარსისკენ ოთხი წლის შემდეგ გვეპატიჟება

SpaceX-ის დამფუძნებელი ილონ მასკი ფიქრობს, რომ მარსისკენ პირველი პილოტირებული ფრენა 4 წლის შემდეგ შედგება.

„პირველი [კოსმოსური ხომალდები] Starship-ები მარსზე ორი წლის შემდეგ გაფრინდებიან, როდესაც დედამიწასა და წითელ პლანეტას შორის შემდეგი სატრანსფერო ფანჯარა გაიხსნება. ისინი დისტანციურად მართვადები იქნებიან, რათა მარსზე დაჯდომის უსაფრთხოება შევამოწმოთ. თუ ხომალდები მარსზე წარმატებით დაეშვებიან, პლანეტისკენ პირველი პილოტირებული ხომალდები უკვე 4 წელიწადში გაეგზავნება“, – დაწერა მასკმა საკუთარ სოციალურ ქსელში X.

მილიარდერმა დასძინა, რომ ამის შემდეგ ფრენების სიხშირე გეომეტრიული პროგრესიით გაიზრდება. თავის მთავარ მიზნად ამ მიმართულებით მასკი 20 წლის შემდეგ მარსზე თვითმყოფადი ქალაქის შექმნას მიიჩნევს.

ლეგენდარული ალექსანდრ მასლიაკოვი გარდაიცვალა

„ის იყო და სამუდამოდ დარჩება ლეგენდად KBH-ის მოძრაობის ყველა მონაწილისთვის და მილიონობით მაყურებლისთვის, 1964 წლიდან იგი უძღვებოდა KBH-ის პროგრამას, გახდა იუმორისა და სატირის სიმბოლო რუსეთში და მის ფარგლებს გარეთ“, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

რუსული მედია წერდა, რომ მას ფილტვების სიმსივნე დაუდგინეს. მასლიაკოვმა 2022 წელს დატოვა იუმორისტული შოუ **KBH,** რომელსაც იგი 1964 წლიდან უძღვებოდა.

მასლიაკოვი დაიბადა 1941 წლის 24 ნოემბერს სვერდლოვსკში. ის უძღვებოდა გადაცემებს „გამარჯობა, ჩვენ ვეძებთ ნიჭებს!“, „ახალგაზრდების მისამართები“, "მოდით, ბიჭებო!", „მოდით, გოგოებო!“, „წლის სიმღერა“.

16 წლის გოგონამ ლა-მანშის სრუტე გადაცურა

ბრიტანელი გოგონამ პრიშა ტაპრე ისტორიაში შევიდა – ის ყველაზე ახალგაზრდაა, ვინც ლა-მანშის სრუტე გადაცურა.

ტრიშას განცხადებით, ეს მისი კარიერის მხოლოდ დასაწყისია. მან 21 მილი 11 საათსა და 48 წუთში გაცურა და ეს ყველაფერი ქველმოქმედებისთვის თანხის შესაგროვებლად გააკეთა.

გოგონას განმარტებით, ის ჯერ კიდევ ვერ იაზრებს იმ ფაქტს, რომ ლა-მანშის სრუტის გადაცურვა შეძლო, თუმცა თავს კარგად გრძნობს და ამ მიღწევით დაკმაყოფილებას არ აპირებს.

ისრაელის არმიამ ჰეზბოლას ერთ-ერთი მეთაური მოკლა

ისრაელის არმიამ ლიბანზე საჰაერო იერიშის შედეგად „ჰეზბოლას“ სპეციალური ოპერაციების დანაყოფის „რადვანის“ მეთაური მოჰამად კასემ ალ-შაა მოკლა. ინფორმაცია ისრაელის თავდაცვის ძალების („ცაჰალის“) ტელეგრამ არხზეა გამოქვეყნებული.

როგორც „ცაჰალი“ იუწყება, „რადვანის“ მეთაური ქარაუნის რაიონში, ბეირუთიდან 58 კილომეტრში მოკლეს. ალ-შაას მრავალი ტერორისტული აქტი აქვს ჩადენილი ისრაელის წინააღმდეგ.

მისმა ლიკვიდაციამ ლიბანის სამხრეთიდან ისრაელზე „ჰეზბოლას“ შეტევების შანსები მკვეთრად შეამცირა, ფიქრობენ ისრაელის თავდაცვის არმიაში.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6949; ევრო - 2.9752;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5247;
100 რუბლი - 2.9715; თურქული ლირა - 0.0791;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5862;
1000 სომხური დრამი - 6.9478.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 13 სექტემბერს